

გიორგი მაჩაბლის ფონდი

ქართული ემიგრაცია

კრებული

III

თბილისი

2012

უკ (UJK) 3252 (=353.1)
ქ-279

სამეცნიერო შრომების კრებულში გაშუქებულია ქართული ემიგრაციის წარსულისა და თანამედროვეობის აქტუალური საკითხები.

სარედაქციო კოლეგია: ოთარ ჯანელიძე (რედაქტორი),
მალხაზ მაცაბერიძე, რუსუდან
დაუშვილი, პაატა ნაცვლიშვილი,
ლაშა ბაქრაძე

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2012
ქართული ემიგრაცია, კრებული III

ISSN 1987-9687

შინაარსი

მანანა დარჩაშვილი

მიხაკო წერეთელი ეროვნული საკითხის შესახებ
საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადების წინა პერიოდში 5

Manana Darchashvili

Mikhako Tsereteli about the National Issues before
the Declaration of Independence 18

პაატა ნაცვლიშვილი

არგენტინა-საქართველოს დიპლომატიური
მიმოწერა 1918-1919 წლებში 19

Paata Natcvlishvili

Diplomatic Correspondence of Argentina-Georgia
in 1918-1919 28

რუსუდან ნიშნიანიძე

მიხეილ წერეთლის უცნობი წერილები _
მიუნხენიდან ვაშინგტონამდე 29

Rusudan Nishnianidze

Unknown letters of Mikheil Tsereteli – from
Munich to Washington 34

რუსუდან დაუშვილი

მილიონერი ქართველი ემიგრანტები ამერიკაში.....35

Rusudan Daushvili

Georgian Millionaire Emigrants in the USA.....52

მირანდა ტყეშელაშვილი

ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიიდან - გაზეთი

"მამულიშვილი"53

Miranda Tkeshelashvili

From the History of the Emigrant Press –

Newspaper "Mamulishvili"62

ნინო ცხოიძე

ახალი ქართული ემიგრაციის შუქ-ჩრდილები63

ქართული ეპარქიები უცხოეთში69

მანანა დარჩაშვილი

მიხაკო წერეთელი ეროვნული საკითხის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია მიხაკო წერეთელი, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. ემიგრაციაში ის ნაწილობრივ ჩამოშორდა პოლიტიკურ სარბიელს, ძირითადად სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობდა, იკვლევდა ქართული კულტურის პრობლემებს მსოფლიო კულტურასთან მიმართებაში და სხვ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიაში ქართულ ეროვნულ კომიტეტს თავმჯდომარეობდა, რომელიც საქართველოს უფლებებს იცავდა, მაგრამ მიზნის მიუღწევლობით გულგატეხილმა ომის შემდეგ ეს კავშირი დაშალა.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი მიხაკო წერეთლის შემოქმედებითი ნააზრევის, მათ შორის პოლიტიკური მემკვიდრეობის მიმართ. გამოქვეყნდა არაერთი საინტერესო სტატია. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი “ერი და კაცობრიობა”, სადაც ავტორი დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხს, ფაქტებისა და მოვლენების ღრმა წვდომით განიხილავდა ამ ურთულეს პრობლემას. მაგრამ, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა მიხაკო წერეთლის სხვა პუბლიცისტური ნაწერებიც, რომლებიც ქვეყნდებოდა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ფსევდონიმები იყო: „baton“, „სანგალა“, „ალაროდელი“.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხაკო წერეთელი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა, ვინც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე სამართლიანობის, თანასწორობის იდეას იცავდა, ანარქიზმის გზით სახავდა სოციალიზმის მიღწევას. ადამიანის თავისუფლებას, ერის თავისუფლების საკითხთან ერთად განიხილავდა, რადგან მისთვის ეროვნული საკითხი ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო. წერდა: “...მე ჩემი ერის უფლებას ვამტკიცებ და ამისათვის დამჭირდა ერის, კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის განსაზღვრა” (1, 33).

მიხაკო წერეთელის აზრით, ეროვნული თავისუფლების გარეშე, ტყუილი და ყალბი იყო სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმიც. ერის, კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის ცნებათა განსაზღვრების შემდეგ მან ასეთი დასკვნა გააკეთა: “შეიძლება იდეურად ანარქისტი იყო ადამიანი, მაგრამ ამავე დროს იცავდეს შენს ეროვნულ საზოგადოებას, რადგან ყოველი ერი კონკრეტული საზოგადოებაა, რომელმაც უნდა განახორციელოს თავისი შემოქმედებით სოციალიზმი, შეეკრას თავისუფლად სხვა ერებს და ამით შექმნას საკაცობრიო ინტერნაციონალი. თუ თვით ერი მოისპო, ისპობა მისთვის მისი შემოქმედებითობაც, მაშასადამე, ანარქიზმიცა და ინტერნაციონალიზმიც. ამიტომაც უწინარეს ყოვლისა თვით ეს ორგანიზმი უნდა იყოს დაცული, და თუ ამ დაცვის დროს ერს ანტიანარქისტული და ანტიინტერნაციონალური წამალი დასჭირდა ხანდახან, ესეც არ უნდა იყოს წინააღმდეგი იდეალისა, როგორც ხშირად ავადმყოფისათვის შხამის მიცემა არ არის წინააღმდეგი მისი ნორმალური ჯანმრთელობისა, რაიცა უმაღლესი მიზანია ექიმობისა” (1, 33).

მ. წერეთელი არაერთხელ უხსნიდა თავის დამოკიდებულებას ეროვნული საკითხის შესახებ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც საკუთარი ერის უფლების აღიარებას სხვებთან ურთიერთობის უარყოფად მიიჩნევდნენ. ის აღნიშნავდა: „აუცილებელია როგორც პატივისცემა უცხო სახლში, ისე საკუთარი უფლების აღიარებაც... ან იქნებ, როდესაც საკუთარ უფლებაზედ გაიგონებენ რასმეს ეს ჩვენი შეუდარებელი “ინტერნაციონალისტები”, სწორედ ეს უფლება ჰგონიათ უარყოფა ჩვენი სხვებთან ერთობისა... და, მართლაც, აკი გვაქვს „ერთობა“, აკი ისე ვართ დაახლოვებულნი, რომ ფრანგების თქმისა არ იყოს, - „ვღრიალებთ ერთად ყოფნის ტკივილითა“ სხვა რაღა გვინდა?...”(2, 2).

ის მკაცრად აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატებს ეროვნული ნიჰილიზმის გამო და აღნიშნავდა, რომ „თანამედროვე პირობებში არანაციონალისტობა „სამშობლოსადმი“ ღალატის ტოლფასია“-ო. „ჩემთვის, - წერდა ის, - ნამდვილი ინტერნაციონალიზმი და ქართული ნამდვილი ნაციონალიზმი სრულიად არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს! პირიქით - მეორე პირველთან ლოღიკურად არის შეკავშირებული”(3, №6).

მეტად საინტერესოა მიხაკო წერეთლის დამოკიდებულება სამშობლოს ცნებისადმი, რომელიც ხშირად ერთან, სახელმწიფოსთან და

ხალხთან იყო აღრეული. სინამდვილეში ის სამშობლოს იდეაში აერთიანებდა ერს და მის ტერიტორიას. ეს საკითხი მისთვის მეტად საყურადღებო და მტკივნეული იყო, რადგანაც, როგორც თვითონ წერდა: „საქართველოს ეროვნული პიროვნება განსაცდელშია, რადგანაც შიგნით, ეკონომიურად იგი სხვისი მონაა – მას არა აქვს განვითარებული ეკონომიური ძალები, რიცხვით მცირეა, გარედან კი უზარმაზარი და აუარებელი, მრავალფეროვანი ძალა მოსდგომია და უქადის თავის ბინიდან აყრას. ეროვნული სიმდიდრისა, რიცხვისა და ძალის უქონლობის გამო მას ვერ გაუწევია ვერავითარი წინააღმდეგობა ასეთ გამანადგურებელ ძალისათვის” (4, №190).

მიხაკო წერეთლისათვის ტერიტორია უბრალო სიტყვა არ იყო. ის ისტორიულ ტერიტორიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სხვა, უცხო ელემენტით რომც ყოფილიყო იგი დასახლებული, თუ რასაკვირველია, ეროვნული ელემენტი იქ სავსებით არ იყო აღმოფხვრილი. ეს ტერიტორია, მისი აზრით, კანონიერ პატრონს ეკუთვნოდა: „ერს სრული უფლება აქვს მისი დაბრუნებისა და თავის კულტურის აყვავებისა, თუმცა მისი მოვალეობაა იმ ელემენტთა უფლებათა პატივისცემა, რომელნიც აქ დროთა ვითარებაში ჩამოსახლებულან. საქართველოს ტერიტორიიდან ჩამოჭრა ტაო-კლარჯეთისა, ლაზისტანისა, სამცხესი, ჯავახეთისა იმ მიზეზით, რომ იქ ზოგან ისლამი გაბატონებულა ქართველთა შორის, ზოგან – სომხობა, ბერძნობა და თათრობა ჩამოსახლებულა, ვერ იქნება იმის არგუმენტი, რომ საქართველოს ტერიტორია ამ ჩვენ ისტორიულ საზღვრებში არ აღიარონ. აქ ჩვენი მოსახლეობა კიდევ დარჩენილა, დარჩენილა ჩვენი ისტორიული ნაშთები, ჩვენი კულტურა აქ ყვაოდა, აგერ ახლა, ახლო წარსულში, ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში ეს ნაწილები მჭიდროდ არის ჩაქსოვილი და იქ დასახლებულ უცხო ელემენტებს არავითარი პრეტენზიის წამოყენების უფლება არა აქვთ, გარდა მათ უფლებათა ჩვენ მიერ პატივისცემისა. ეს ტერიტორია ჩვენი ორი ათასის წლის საკუთრებაა, და სრული უფლება გვაქვს, იქ ხელახლა ავაყვავოთ საქართველო. ჩვენ იგი გვჭირდება, და იმ მიზეზით, რომ იგი ისტორიულმა ბედმა წაგვგლიჯა დროებით, ახლო წარსულში, - ვერ დავთმობთ ამ საჭიროებასა” (1, 112-113).

ერთა ერთობა მიხაკო წერეთლის აზრით, უნდა გულისხმობდეს ერთა თანასწორობას და მათ კავშირს ამ თანასწორობის ნიადაგზე. ერთა თანასწორობის აუცილებელ პირობად კი ის მიიჩნევდა სა-

ერთაშორისო სამართლის მიერ ერის საკუთარი პიროვნული ღირებულებების აღიარებას. საერთაშორისო სამართლის ნიადაგზე კი შეუძლებელი იყო არ მდგარიყო ყოველი გულწრფელი მსურველი ერთა ერთობისა და სოლიდარობისა.

მიხაკო წერეთლის აზრით: „იდეალური საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ყველა ერს აქვს უფლება სუვერენობისა“ (1, 174), განსაკუთრებით ისეთ ერს, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია, ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის უმეტესობას შეადგენს და თავისი ორიგინალური პოლიტიკური ისტორია აქვს. აქედან გამომდინარე, მ. წერეთელი სრულიად სამართლიანად დასძენდა: „საქართველოს ახლაც სრული უფლება აქვს სრულის დამოუკიდებლობის“-ო (5, 12).

ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მ. წერეთლის სტატიების სერია “ოთხი მცნება”, რომელიც 1909 წლის გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნდა (ეს ნაშრომი მკვლევართა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, 1998 წელს ამ საკითხს ჩვენ შევხებით). სტატია ეძღვნება ეროვნული საკითხის გარკვევისათვის ისეთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ცნებების განმარტებას, როგორცაა ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი. მ. წერეთელი პოლიტიკურად დამონებული ერებისათვის ამ ოთხი მთავარი ცნების სწორად გაგებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნაციონალიზმი, მისი აზრით, პირველ რიგში მისწრაფებათა იმ სისტემას ნიშნავდა, რომელიც მთელ ნაციას ეხებოდა, მთელს ერს, განურჩევლად კლასისა და წოდებისა. სოციალიზმს, რომელიც კლასთა წინააღმდეგობას, კლასთა ბრძოლას აზვიადებდა, ნაციონალიზმი მიაჩნდა თავის მოწინააღმდეგე ცნებად. ამით სოციალიზმი უარყოფდა ერთა შორის თანასწორობას. ამიტომ, მ. წერეთელი ამ ცნებათა სწორად განსაზღვრისათვის აუცილებლად მიიჩნევდა იმის გარკვევას, თუ როგორ ესმოდათ იგი და როგორ უნდა გაეგოთ ნამდვილად, სამართლიანად, სხვადასხვა იდეის და აგრეთვე წმინდა სოციალური სინამდვილის თვალსაზრისით.

მ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ერის ცხოვრება არის სოციალური ცხოვრება ადამიანთა, რომელნიც ეკუთვნიან ერთ რასას, ან რომელშიაც ერთი რასა სჭარბობს და სხვები შეუთვისებია ან გარდაუქმნია თავის მსგავსად, საერთო ენა, შეიძლება რელიგია და პოლიტიკა, ზნე-ჩვეულება, თვითშეგნება, რომელიც განვითარებულია ხან-

გრძლივი და რთული საერთო მოწესრიგებული მოქმედებითა, ერთის სიტყვით ფართო საერთო სოციალური ცხოვრება, აი რა მოუწყვია ხოლმე ისტორიის უამთა ვითარებაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიურ ელემენტს, და ამ მოქმედებიდან გამოსულა ერი, თვითშემგნები სოციალური სუპერ-ორგანიზმი” (4, №167). აი, როგორ ესახება მ. წერეთელს ერი, ნაცია და აქედან გამომდინარე ნაციონალიზმი, რომელიც არის მთელი სისტემა და გამოხატულება იმ მისწრაფებებისა, რომელიც ერს აქვს. მისი აზრით, ასეთი ნაციონალიზმი იცავდა ერის ინტერესებს სხვა ეროვნულ ორგანიზმთა აგრესიისაგან. მაშასადამე: „ნაციონალისტი ყველა ყოფილა, - სოციალისტიც და არასოციალისტიც, ანარქისტიც და ბურჟუაც, ყველა პატიოსანი მოღვაწე, როგორც არ უნდა იყოს მისი მსოფლმხედველობა. ადამიანი არ შეიძლება სხვა რამ იყოს, გარდა ნაციონალისტისა, რადგან ის კაცობრიობაში შედის არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ მხოლოდ გარკვეული ერის საშუალებით” – აკეთებდა დასკვნას მ. წერეთელი.

მ. წერეთელი არსებული სინამდვილიდან გამომდინარე ეხებოდა იმ მოვლენას, როდესაც რომელიმე ერის შინაგან ცხოვრებაში ორი სხვადასხვა სახელწოდების პარტია ერის შინაგანი მოწყობის შესახებ ვერ თანხმდებოდა. „სოციალისტს თავისი იდეალი აქვს, ნაციონალისტს თავისი, მაგრამ ორივეს იდეალი შეეხება ერთსა და იგივე ერს, რომელსაც არც ერთი არ უარყოფს. მათი უთანხმოება შეეხება აბსტრაქტულ ფორმულათა განხორციელებას რომელიმე ერის ცხოვრებაში, და არა პრინციპულ საკითხს სოციალიზმისას და ნაციონალიზმისას, რომელნიც სულ სხვადასხვა სფეროში ტრიალებენ და რომელთა შესახებ კამათს ყოველთვის უფრო აკადემიური ხასიათი აქვს, მაგრამ ეს განვითარებულ საზოგადოებაში, რა თქმა უნდა” – აღნიშნავდა ის.

მისი აზრით, დაჩაგრული ერი იბრძოდა სწორედ სხვისი უსამართლო ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რათა აღედგინა თავისი ეროვნული ინტერესები და მდგარიყო ერთად სხვა ერთა შორის. ასეთი ერის ნაციონალიზმს ის ნამდვილ და სამართლიან ნაციონალიზმად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ყველა პატიოსანი სოციალისტისა და ანარქისტისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო.

მ. წერეთლისეული ნაციონალიზმი, ზემოხსენებულის მიხედვით, არის მისწრაფება ერისა თავისი ინდივიდუალობის შენახვისათვის, კონკრეტული სოციალური ორგანიზმის დაცვისათვის, დამოუკიდებ-

ლად იმისა, თუ ვის რა იდეალი აქვს ამ კონკრეტულ ორგანიზმში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

მ. წერეთლის მიერ ნაციონალიზმის ცნების ასეთ გაგებას და ინტერპრეტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან არსებულ სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას მისი შინაარსი ძირეულად შეცვლილი და ფაქტობრივად შოვინიზმის ცნებამდე ჰქონდა დაყვანილი.

მ. წერეთლი განმარტავდა, რომ როგორც ნაციონალიზმი, სიტყვა ინტერნაციონალიზმიც წარმოსდგება ნაციისაგან და ნიშნავს საერთაშორისოს, ერთა შორის ერთგვარ განწყობას (4, №168). ამგვარად, ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი ერთი სერიაა ცნებათა, რომელნიც შეეხებიან ერებსა და მათ კავშირს. ნაციონალიზმი არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმს, პირიქით, ნაციონალიზმის გარეშე არ იქნებოდა ინტერნაციონალიზმი, რადგან პირველი მეორის შემადგენელი ელემენტია.

ავტორი განმარტავდა, რომ სოციალიზმი არ ეწინააღმდეგებოდა არც ერთს და არც მეორეს და აკეთებდა დასკვნას: „მსგავსად იმისა, როგორც ნაციონალისტის სახელი თავისთავად არ არის სამარცხვინო და საგინებელი, თუ იგი განსაზღვრული იქნება თავის ნამდვილი შინაარსის მიხედვით, სოციალისტისთვისაც და ინტერნაციონალისტისთვისაც არ არის სამარცხვინო ნაციონალისტის სახელის ტარება, აღიარება წმინდა ეროვნულ ინტერესთა და ბრძოლა მათ დასაცავად. მითუმეტეს, რომ თეორიულად იგი მართალი იქნება, პრაქტიკულად კი, ცხადია, - ერთა მუდმივი ბრძოლაა საკუთარ საზოგადოებათა სიკვდილისაგან ხსნისათვის. გარდა ამისა მომავალშიაც ხომ თავისუფალი ერი აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს „ინტერნაციონალისა“ (4, №168).

თავისი ერის მოყვარე და სხვა ერთა პატივისმცემელი მ. წერეთელი ვერ ეგუებოდა და აკრიტიკებდა გადაჭარბებულ ეროვნულ ეგოიზმს, - თავისი ერის ყველა სხვა ერზე უფრო მაღლა დაყენებას, თავისი ერის არსებობის აღიარებას ერთადერთ კანონიერად და სამართლიანად და სხვათა უფლების ფეხქვეშ გათელვას, თავისი ერის საზღვართა გაფართოვებას, სხვათა დაპყრობას და ექსპლუატაციას, თავისი „რჯულის“ სხვებზე მაღლა დაყენებას და სხვათა უპატივცემლობას, თავისი ენის გაბატონებისა და სხვათა ენის წართმევის სურვილს და ყოველივე სხვა მსგავს მოვლენებს ერთა ცხოვრებაში, რაც შოვი-

ნიზმის საფუძვლად მიაჩნდა. შოვინიზმი კი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, საერთაშორისო სამართლის უარყოფა იყო, რომელის განხორციელებაც მაშინ იდეალად ითვლებოდა.

მ. წერეთელი აკრიტიკებდა და შოვინისტურ მიმდინარეობად მიიჩნევდა ყველა იმ პარტიას, რომლებიც საქართველოს ავტონომიას უარყოფდნენ და ამით ხელს უშლიდნენ ქართველი ერის სამართლიანი უფლების განხორციელებას. ასევე ამუნათებდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლებს, რომელნიც მხარს არ უჭერდნენ საქართველოს ავტონომიას და უფრო მეტად თავიანთი უფლებების წარმოჩენას ესწრაფვოდნენ. ასეთ შემთხვევებში ისინი შოვინისტებად გამოდიოდნენ.

მ. წერეთელი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი და ერთა თანასწორობის მომხრე, აქვე აცხადებდა: „ჩვენ კი, ჩვენსას ვთხოულობთ, არც სხვის უფლებათა დათრგუნვა გვინდა, არც სხვისი მოსპობით განისაზღვრება ჩვენი არსებობა. ჩვენ საერთაშორისო სამართლის სახელით ვთხოულობთ ჩვენ უფლებას, ის ქართველი კი, რომელსაც თავისთვის ავტონომია უნდა, ხოლო ამ ავტონომიის ფარგლებში მცხოვრებ ერთათვის ყოველ უფლებას უარსა ჰყოფს, ან რომელსაც აზერბაიჯანის დაპყრობა, შემოერთება და გაქართველება უნდა, რასაკვირველია, შოვინისტია. სულ სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა, ან საერთაშორისო სამართლის სრული განხორციელება, ან ერთა უფლების დაცვა და აღდგენა. აგრეთვე, სულ სხვაა საგანი ერთა შორის ბრძოლის აუცილებლობისა და ერთის მიერ მეორის ჩაყლაპვისა, - აქ ეს გვანტერესებს, გვანტერესებს მხოლოდ პრინციპები, რომელთა სახელსაც ასე დაუფიქრებლად ისვრიან ხოლმე (სოციალ-დემოკრატები ჰყავს მხედველობაში - მ. დ.) და აგრეთვე პრინციპი სამართლისა და არა ძალისა და შესაძლებლობისა” (4, №169).

მ. წერეთელი, განსაზღვრავდა რა ცნება კოსმოპოლიტიზმს, მიუთითებდა, რომ ის არ იყო სწორი და ნათელი ტერმინი, რომ ის ნიშნავდა მსოფლიო მოქალაქეობას, რაც შეუძლებელი იყო, რადგან, მისი განმარტებით, მოქალაქეობა სოციალურ კავშირს წარმოადგენდა ერთ გარკვეულ საზოგადოების წევრთა შორის. ის მსჯელობდა იმ განსხვავებათა შესახებ, რომელიც რატომღაც არსებულ სინამდვილეში ძალიან ხშირად კოსმოპოლიტიზმს ინტერნაციონალიზმთან აერთიანებდა. სინამდვილეში, ინტერნაციონალიზმი, როგორც აღვნიშნეთ, მიჩნეული იყო ერთა შორის თავისუფალ კავშირად, კოსმოპოლიტიზმი

კი აღიარებდა საკაცობრიო საზოგადოების არსებობას, რაც ეწინააღმდეგებოდა ინტერნაციონალიზმის ცნებას.

მ. წერეთელი, თვლიდა რა კოსმოპოლიტიზმს, როგორც უმსგავსო და არასასურველ ფორმას კაცობრიობისათვის, აღნიშნავდა: „მართლაც, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხორციელება, ეს დიდი უბედურება იქნებოდა მთელი კაცობრიობისათვის. ერთფეროვნება ჰკლავს სიცოცხლეს. საბედნიეროდ, კოსმოპოლიტიზმი უტოპიაა, განუხორციელებელი“ (4, №169).

მ. წერეთელმა ოთხი ცნების (ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შოვინიზმი, კოსმოპოლიტიზმი) განხილვის შემდეგ გააკეთა დასკვნა, რომელშიც წარმოდგენილია მთელი მისი პოლიტიკური კრედო: „ნაციონალიზმი - ერის სიცოცხლისა და უფლების დაცვაა, და ჩვენც ნაციონალისტები ვართ. ინტერნაციონალიზმი - თავისუფალ და სწორუფლებიან ერთა კავშირია, საერთაშორისო სამართალი აღიარებაა ერთა უფლებისა და ჩვენც ინტერნაციონალისტები ვართ. შოვინიზმი კი უარყოფაა საერთაშორისო სამართლისა, ეროვნული ბოროტი ეგოიზმია და ამიტომაც გვეზიზღება ყველა შოვინისტი...“

თავის დაცვა ერისა და სხვებთან აწმყო და მომავალი კავშირი, და არა თვითმკვლელობა აწ არ-არსებულ და მომავალ პრობლემატიკურ კაცობრიობისათვის, შეუძლებელ კოსმოპოლიტიზმისათვის. ამიტომაც ჩვენ გვინდა სოციალიზმი შიგნით, საკუთარი საზოგადოებრივი ორგანიზმის განახლებისათვის, და ინტერნაციონალიზმი გარეთ, ერთა ურთიერთ დახმარებისათვის და ძმობისათვის. შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი კი ორივე წინააღმდეგი ცნებაა ერთა სიცოცხლისა და უფლებისა და ამიტომაც ჩვენც და ჩვენი სოციალიზმიც მას გავურბივართ“ (4, №170).

მ. წერეთელი თანმიმდევრულად იბრძოდა ეროვნული საკითხზე თავისი თეორიული დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის. არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში, სადაც მისი გამოსვლის თემა სწორედ ეროვნული საკითხი იყო. 1904 წლის სექტემბერში ქ. ჟენევაში გამართულ ფილოსოფოსთა მეორე საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის შესახებ თვითონ აღნიშნავდა: „ამგვარ კონგრესებს დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვადასხვა მოძღვრებისა და სკოლის წარმომადგენლები ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან, პირდაპირ ეცნობიან ერთმანეთის აზრს, ეცნობიან ურთიერ-

ის ორიგინალობას და თავისებურებას, რის მაგივრობასაც ვერ გასწევენ წიგნები და ყოველთვიური ჟურნალები” (6, №2613).

აღსანიშნავია 1916 წლის ივლისში, ქ. ლოზანაში გამართულ მესამე საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესზე მ. წერეთლის მონაწილეობა. დამსწრე საზოგადოებას მ. წერეთელი ესაუბრა ქართველი ერის იმ პატივყარილი უფლებების შესახებ, რასაც ის განიცდიდა 1801 წლის შემდეგ. აღნიშნა ფაქტიც, რომ 1907 წელს ქართველმა ერმა პეტიციით მიმართა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას, ამცნო მას ყველა ეს საშინელებანი და სახელმწიფოებს სთხოვა მოეგონებინათ რუსეთისათვის მისი მოვალეობა საქართველოს მიმართ, რომელიც მან 1783 წლის ხელშეკრულებით ივალდებულა, მაგრამ კონფერენციამ ქართველი ერი უპასუხოდ დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ პეტიცია, საერთაშორისო სამართლის მიხედვით იურიდიულ საფუძველს მოკლებული არ იყო. მ. წერეთელმა კონგრესზე თავისი სიტყვა იმედიანი ფრაზით დაამთავრა: „განათლებული კაცობრიობა ხმას აღიმალლებს ჩვენი ერის დასაცველად და დაგვეხმარება დავიბრუნოთ ჩვენი დარღვეული კანონიერი უფლებანი“-ო.

მ. წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას შეკრებილ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოუწვევია. რასაც მოჰყოლია გამოხმაურებები, როგორც უცხოურ, ისე ქართულ პრესაში. ამის შესახებ მოგვიანებით კ. გამსახურდია წერდა: „ჩვენი თანამემამულის მ. წერეთლის დასაბუთებულსა და დიდის ნიჭითა და უნარით დაწერილ დეკლარაციას თითქმის ყველა ერის წარმომადგენელი აღფრთოვანებული ტაშით მიეგება” (7, 11. IV.)

XX საუკუნის ათიან წლებში „კავკასიის ჭირისუფალნი” (როგორც მათ მ. წერეთელი ეძახდა) ქართველების მიმართ არაერთ გამაღიზიანებელ, შეურაცხმყოფელ წერილს ბეჭდავდნენ. მ. წერეთელი მათ თავისი პუბლიკაციებით ქართულ პრესაში ეხმაურებოდა: „კეთილშობილება და სიმართლე, ბატონებო, თორემ არც ნდობა და არც სოლიდარობა არ შეიძლება. სოლიდარობაში ქართველები ისე შორს წავედით, რომ საკუთარის პირით დავგმეთ ჩვენი უფლებანიც, მხოლოდ კი საქართველოში სხვები არ დაგვეჩაგრა. ჩვენი პროლეტარიატი ფულსაც კი ჰკრეფდა საფრანგეთის გაფიცულთა შესაწევად, – სხვა მთელი საკვირველი ფაქტებიც არის ჩვენის ინტერნაციონალურის სოლიდარობისა, მაგრამ თუ აღარაფერი გაგვივა არავისთან, აღარც „ძმებთან” და აღარც „ბიძაშვილებთან”, რომელთაც სოლიდარობა ურ-

თი-ერთის უფლებათა აღიარებად კი არა, არამედ მარტო თავის უფლების აღიარებად მიაჩნდათ, - რაც ჩემია ჩემია, რაც შენია ისიც ჩემიაო, რა ვქნათ, ბრალი მაინც არ დაგვედება მართლმსაჯულ ისტორიისაგან” (8, 2).

მ. წერეთელმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა კავკასიის ხალხთა ურთიერთობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ის არ იზიარებდა კავკასიის სახელმწიფოებრივი ერთობის ლოზუნგს, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა კავკასიის ხალხთა სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების შემდგომი განმტკიცება, იმ პირობით, თუ მანამდე პრაქტიკულად განხორციელდებოდა მათი პოლიტიკური და კულტურული თვითგამორკვევა და ამით მომზადდებოდა ნიადაგი მათი ფედერაციული ან კონფედერაციული კავშირის შექმნისათვის.

1909 წელს, გაზეთ „დროებაში“, მ. წერეთელმა წერილების სერია „კავკასიის ერთობა“ გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნავდა: „კავკასიაში ერთობა არასოდეს არ ყოფილა, ეთნიური ერთობა კავკასიელთა არ არსებობს, არა თუ იმ აზრით, რომ სისხლით არიან სხვადასხვაგვარნი, არამედ იმ აზრითაც, რომ კულტურული და ისტორიული საერთო ტრადიციები მათ არა აქვთ, არასოდეს არ არსებულა „კავკასიის ისტორია“, არასოდეს არ არსებულა „კავკასიის საერთო კულტურა“... საზოგადოდ, მთელი კულტურული და პოლიტიკური ისტორია კავკასიის ხალხთა ერთ კალაპოტში არასოდეს ჩამდგარა, რომ დროთა ვითარებაში შეუჩერებლად ედინა, როგორც ერთ დიდ მდინარეს ცივილიზაციის სხვა მდინარეთა შორის. თვითოეულ ხალხს ჰქონდა თავისი ორიგინალური ისტორია დღემდე. იყო ხოლმე ურთიერთზე გავლენა, პოლიტიკურ ცხოვრებათა მიმდინარეობის შეხვედრა, შეტაკება, კავშირი საერთო მტერთა წინააღმდეგ, მაგრამ ერთობა – არასოდეს” (4, №242). ამის შემდეგ ის რელიგიურ განსხვავებებსაც ეხებოდა, კერძოდ იხსენებდა აბრამ კათალიკოსის ეპისტოლეს ქართველებთან ურთიერთობის შესახებ...

მიუხედავად ყოველივე ამისა, მ. წერეთელი გამოხატავდა კავკასიელთა სოლიდარობის შემდგომი განმტკიცების სურვილს და საკუთარ მოსაზრებასაც გამოთქვამდა ამის განსახორციელებლად: „ერთადერთი პირობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი სოლიდარობა, ე.ი. კონფედერაცია შევადგინოთ კავკასიის ერთაგან, ან ერთი ფედერაციული პოლიტიკური სხეული, - აი რა არის საჭირო: თავდაპირველად ყველანი უნდა წარვდგეთ ურთიერთის პირისპირ, როგორც თვითგა-

მორკვეული სოციალური ინდივიდები, განსაზღვრულის უფლებებითა, განსაზღვრულის ტერიტორიებითა, საზღვრებითა და ერთობ მთელის. საზოგადოების ფიზიონომიითა.

კონფედერაცია, ან ფედერაცია მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, როცა წინდაწინვე თითოეულმა სოციალურმა ინდივიდმა იცის თავისი ვინაობა და ისიც, თუ ვის უერთბს თვის ცხოვრებას...

ჯერ თითოეული ჩვენთგანი გავსდეთ თავისუფალ საზოგადოებრივ ინდივიდად და მერე ვეცადოთ განვამტკიცოთ ერთობა და, თუ ყველანი ვერა, იქნება რამდენიმე მაინც, შევეერთდეთ ფედერაციულ სოლიდარობითა. მანამდის კი საერთო მოქმედება საერთო დაბრკოლებათა წინააღმდეგ, ხოლო თვითგამორკვევა თითოეულისათვის საკუთარის ძალებით”(4, №251).

მ. წერეთელი პატივისცემის გრძნობით იყო განმსჭვალული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერების მიმართ. ის მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების მოსაწესრიგებლად საერთაშორისო სამართალს მიიჩნევდა. მისი აზრით, საერთაშორისო სამართალს უნდა დაეცვა საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის უფლებებიც: „თუ ზოგიერთ ქალაქში და ორ მაზრაში უმეტესობას სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული უცხოელები შეადგენდნენ, მაგრამ ეს არც ამ უცხოელთა და არც არავის არავითარ უფლებას არ აძლევს წაგვართვან ტერიტორიული დამოუკიდებლობის უფლება. ნუ დაივიწყებს ნურავინ, რომ ეს ნაწილი ტერიტორიისა ათასის წლოებით ჩვენი საკუთრება იყო, ზედ ქართული კულტურა ჰყვაოდა, სისიხლით ვიცავდით მტრისაგან და დღესაც სრულიად არ გამქრალა იქ ქართველობა. დღესაც იგი ნაწილია საქართველოსი და თუ უცხო ვინმეა იქ, იგი ჩვენს სახლშია დამკვიდრებული და უფლებაც აქვთ დარჩეს სწორუფლებიან მოქალაქედ... მაგრამ ჩვენც გვაქვს უფლება ჩვენი ეროვნული საკუთრება დავიცვათ უსამართლო სტუმართაგან. ყოველ შემთხვევაში, თუ არ მოეწონებათ ჩვენი სტუმრობა და ჩვენი მასპინძლობა, სრული უფლება აქვთ თავიანთ სამშობლოში მიბრძანდნენ” (5, 13) – აღნიშნავდა მ. წერეთელი.

ის იმედით უყურებდა მომავალს და სჯეროდა, რომ სულ მალე საერთაშორისო სამართალი თავის სიტყვას იტყოდა. „ყოველთვის ვიტყვით, – წერდა მ. წერეთელი, – კიდევ რომ დათრგუნო ერი, თვით იდეა მართალი სამართლისა არ მოკვდება, იგი ოდესმე გაიმარჯვებს. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა ისტორიაში და ახლაც არის.

მოწინავე კაცობრიობის აზრი უკვე აღიარებს ერის უფლებას, თეორიულად მაინც. იდეა ერთა შორის მართალი სამართლისა ფებს იკიდებს ადამიანთა აზრში. ჩვენ ქართველებიც არ დავრჩებით ამ საერთაშორისო მოძრაობის გარეშე. თუ ერთ ხელში „მართალი სამართალი“ დავიჭირეთ და მეორეში ძალა, დამცველი სამართლისა სახელმწიფოთა უსამართლობის წინააღმდეგ, შეიძლება ჩვენც გვეშველოს რამე, შეიძლება ჩვენც დავიჭიროთ ისევ ძველი საპატიო ადგილი ერთა შორის, რომელთა რიცხვიდან ისტორიულმა უსამართლობამ ასე უსინდისოდ გამოგვრიცხა და ისევ გავანედლოთ ჩვენი ეროვნული არსებობის გამხმარი ხე, ობლად რომ დგას ძალმომრეობისა და უსამართლობის უდაბნოში” (9, 15).

ქართველი ერის წარსულზე, აწყმოსა და მომავალზე მსჯელობისას მ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი არასდროს შერიგებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, იგი გამუდმებით იბრძოდა დამოუკიდებლობის აღსადგენად.

მ. წერეთლის იმედი და წინასწარხედვა ერთხანს ასრულდა კიდევ. სასურველია აქვე აღვნიშნოთ, მგზნებარე პატრიოტის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ ქართულ-გერმანული საზოგადოების საღამოზე, რომელიც ბერლინის „ესპლანადოს“ სასტუმროში გაიმართა 1918 წლის 27 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ქართული დელეგაციის პატივსაცემად. თავის გამოსვლაში მ. წერეთელმა მადლობა გადაუხადა ქართულ-გერმანული საზოგადოების წევრთ, რომელნიც დიდი სიხარულით მიეგებენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავს. ავდღეთა მოგონების შემდეგ ის შეეხო საქართველოს მომავალს, აღნიშნა: „საბედნიეროდ, მეგობრებიც გვყავს, უფრო ჭკვიანი და ზნეობრივად მაღლა მდგომნი, ვიდრე მტერნი ჩვენნი. ეს მეგობრები გვყავს გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ბულგარეთში და სხვაგან. ინტერესთა ერთობა ჩვენდა და ჩვენს მეგობართა შორის დიდია და ამიტომაც გვაქვს იმედი, რომ საქართველო მათი შეწევნით უზრუნველჰყოფს თავის დამოუკიდებლობას და ამასთანავე, გახდება ცენტრალურ სახელმწიფოთა ღირსეულ თანამშრომლად იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომელიც ცენტრალურ სახელმწიფოთა ერებს ექნებათ საქართველოში, კავკასიაში და მათგან დაშორებულ იმ ქვეყნებში, საითკენაც გზა საქართველოზე სძევს” (10, №208). ამის შემდეგ, მ. წერეთელმა გამოკვეთა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიუ-

ლი მდებარეობის როლი ევროპისა და კერძოდ, გერმანიის აზიასთან ურთიერთობისათვის. იგი სასურველად მიიჩნევა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას კავკასიის ნედლეულის ბაზაზე. აღნიშნა ასევე, რომ გერმანიას კიდევ სხვა ინტერესი უნდა ჰქონოდა საქართველოში და კავკასიაში, ინტერესები ბევრად უფრო კეთილშობილური – სულიერი, მეცნიერული.

ამდენად, მ. წერეთლის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი ასეთი იყო:

ის პირველ რიგში საჭიროდ მიიჩნევა ერის უფლებათა დაცვას („უფლება არსებობისა და ხელშეუხებლობისა, თანასწორობა სრული და სამართლიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა, საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე, აი, ერის უფლება“) (1, 253).

მისი აზრით, სწორედ ერი და არა სახელმწიფო უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სამართლისათვის განხილვის საგანი, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი თვითგამორკვევისათვის მებრძოლ ერთა ინტერესების დაცვა, ერთა თანასწორობის რეალური განხორციელება.

მ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატები ნებსით თუ უნებლიეთ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ხელს უშლიდნენ.

მ. წერეთლისეული ოთხი ცნების განსაზღვრიდან ჩანს, რომ ის იყო დიდი პატრიოტი, კაცთმოყვარე და მოსურნე ყველა ერისა და ხალხის კეთილდღეობა-თანამშრომლობისა და მებრძოლი ბოროტების, ჩაგვრის, ერთა ინდივიდუალობის გაქრობის მცდელობის წინააღმდეგ.

მ. წერეთელი თანაუგრძნობდა ყველა საერთაშორისო სამშვიდობო ღონისძიებას. თანაუგრძნობდა და მიესალმებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავკასიის ერთობის საკითხს, სახავდა სამომავლო ურთიერთობების გზებს.

უკვე თავისუფალი საქართველოსათვის, მიხაკო წერეთელი სასურველად მიიჩნევა ევროპასთან მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული ურთიერთობების დამყარებას.



1. მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.
2. ჟურ. „ერი“, 1910, №12.
3. გაზ. „ამირანი“, 1908 წ.
4. გაზ. „დროება“, 1909 წ.
5. ჟურ. „საქართველოს მოამბე“, 1909, №4.
6. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ.
7. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ.
8. ჟურ. „ერი“, 1910, №6.
9. ჟურ. „საქართველოს მოამბე“, 1909, №5.
10. გაზ. „საქართველო“, 1918 წ.

Manana Darchashvili

**Mikhako Tsereteli about the National Issues before the
Declaration of Independence**

Summary

The article discusses the views of a significant scholar and fighter for the national liberation of Georgia – Mikhako Tsereteli. It is said that among the Georgian national and political figures of the 20th century Georgia Mikhako Tsereteli is a significant person who favored for the supremacy of the national issues. The protection of a nation's rights was most important for him. According to Mikhako Tsereteli, the subject of the international law should not have been a state but a nation, in this way, the fight of the nations for self-identity would have resulted positively and equality between nations would have realized.

Mikhako Tsereteli criticized Georgian Social-Democrats for their nihilistic approach to the national issues. It is evident in the biography of Mikhako Tsereteli that he was an ardent patriot, philanthropic, a man who dreamed for the equality among nations and prosperity.

Mikhako Tsereteli had an evident view for the unity of the Caucasian nations that meant creating of a federation or confederation after these nations would have achieved independence.

არგენტინა-საქართველოს დიპლომატიური
მიმოწერა 1918-1919 წლებში

„გარეშე საქმეთა მინისტრმა რომიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ბედნიერი ვარ გაცნობოთ, რომ არგენტინის მთავრობამ სექტემბრის 15-ის დეკრეტით აღიარა საქართველო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

ეს პატარა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო კორესპონდენცია 1919 წლის 2 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო საქმეში“. იქვეა დაბეჭდილია მეორე კორესპონდენციაც:

„საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ბუენოს-აირესში არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს შემდეგი რადიო გაუგზავნა: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ არგენტინის მთავრობამ ამა წლის 15 სექტემბრის დეკრეტით საქართველო აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ ცნობას ჩვენი რესპუბლიკა შეჰხვდა უმაღლესი სიხარულისა და მადლობის გრძნობით თავისი უფროსი დის არგენტინისადმი, რომელიც ყოველ სახელმწიფოს უწინარეს მიჰხვდა საქართველოს დემოკრატიის მისწრაფებას და თავის დეკრეტით იმედი მოგვცა, რომ ამ მაგალითს მიჰყვება სხვა სახელმწიფონიც. გიძღვნით უღრმეს მადლობას და გულწრფელად უსურვებ არგენტინის დემოკრატიას აღყვავებას. ჟორდანია.“

არგენტინა პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც დე იურე ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ხოლო პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო აღიარა, გერმანია გახლდათ: 1918 წლის 26 მაისს ფოთში საქართველოს მთავრობასა და გერმანიის წარმომადგენლობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ფაქტობრივი ცნობის ტოლფასი იყო.

ოსმალეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო იმავს წლის 4 ივნისს ბათუმში დადებული საზავო ხელშეკრულებით აღიარა. თუმცა ხელშეკრულება რატიფიკაციას საჭიროებდა, რაც არ განხორციელებულა, მაგრამ აღიარების ფაქტი ფაქტად დარჩა (სულთნის ხელისუფლებამ საქართველო დე იურედ 1920 წლის თებერვალში, ხოლო ანგორის (მუსტაფა ქემალის) მთავრობამ 1921 წლის იანვარში ცნო).

ასეა თუ ისე, არგენტინა პირველი ქვეყანაა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ყველა ფორმალობისა და პროცედურის დაცვით. რაც მთავარია, არგენტინის პირველობას საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების პროცესში ხაზს უსვამდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწეები და დიპლომატები, ანუ ის ხალხი, ვინც ამ აღიარებას მრავალი თვის განმავლობაში ითხოვდა და ელოდა. არგენტინის პირველობა ნოე ჟორდანიას ზემოთ მოყვანილი მაღლიერების წერილითაც დასტურდება.

არგენტინის მიერ საქართველოს აღიარების პროცესი იწყება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის 1918 წლის 10 ივლისის № 24 წერილით არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი:

„ბატონო მინისტრო!

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს ტფილისში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩამოაყალიბა მთავრობა ბატონი რამიშვილის თავმჯდომარეობით.

ამრიგად, საქართველოში რუსეთის მმართველობის საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ქართველი ხალხი დამოუკიდებელ ერთა შორის ჩადგა.

საქართველო შეუერთდა რუსეთს პოლიტიკური ტრაქტატით, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სრულ საშინაო თავისუფლებას და მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, მაგრამ საქართველომ იმთავითვე განიცადა თავისუფლების შეზღუდვა, რაც მალე ნამდვილი ანექსიით შეიცვალა.

თუმცა ქართველ ერს არასოდეს დაუკარგავს ათასწლოვანი ტრადიციები და არც სახელმწიფოებრივ უფლებებზე უთქვამს უარი. იგი შესაფერის მომენტს ელოდა ამ უფლებების რეალიზაციისათვის.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ გაიყვანა თავისი ჯარი ტრანსკავკასიიდან და კერძოდ საქართველოდან, საქართველოს აღარაფერი აკავშირებს რუსეთთან.

თავისუფალმა საქართველომ სახელმწიფოებრიობის ყველა წესის დაცვით თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და ახლა სურს დაამყაროს საერთაშორისო კავშირები, რათა მომავალში შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

მაქვს პატივი, ჩემი მთავრობის სახელით გთხოვოთ, გაეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რათა არგენტინის რესპუბლიკამ ცნოს საქართველოს რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩხენკელი.“

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ნოტა იმხანად ბერლინში მყოფმა საქართველოს დელეგაციამ (აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი) იქ არსებულ ყველა საელჩოს აახლა. რომელ საელჩოში რა რეაქცია მოჰყვა ქართველ დიპლომატთა თხოვნას, ეს მომავალი კვლევის საგანია. რაც შეეხება არგენტინის საელჩოს, როგორც ირკვევა, არგენტინის ელჩმა გერმანიაში ლუის ბ. მოლინამ აკაკი ჩხენკელის ნოტის ფრანგული დედანი ესპანური თარგმანითურთ 30 ივლისს გაუგზავნა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრს დოქტორ ჰონორიო პუერიედონს ბუენოს-აირესში.

ეს ის პერიოდია, როდესაც პირველი მსოფლიო ომი დასასრულს მიუახლოვდა. 8 აგვისტოს ქალაქ ამიენტან გაირღვა გერმანიის ფრონტი. 26 სექტემბერს მოკავშირეთა ჯარები ფართო შეტევაზე გადავიდნენ. გერმანელებმა საერთო უკან დახევა დაიწყეს და მალე დატოვეს ოკუპირებული ტერიტორიები. აშკარა გახდა, რომ დღე-დღეზე გერმანია შეწყვეტდა წინააღმდეგობას და ევროპაში ხელახალი გადანაწილება დაიწყებოდა.

როგორც ჩანს, ფორსირებულად მიმდინარე პროცესების ამ ფონზე საქართველოს დელეგაციამ ჩათვალა, რომ ბუენოს-აირესიდან რეაქცია იგვიანებდა და აკაკი ჩხენკელმა 25 ოქტომბერს ახალი ნოტიო მიმართა არგენტინის ელჩს ბერლინში:

„ამა წლის 10 ივლისს მქონდა პატივი, მეცნობებინა თქვენი აღმატებულებისათვის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება და მეთხოვა არგენტინის რესპუბლიკის მთავრობისათვის საქართველოს ფორმალური აღიარება.

თქვენმა აღმატებულობამ შემატყობინა, რომ არგენტინის მთავრობა გაეცნო ჩვენს ნოტას.

სურს რა ფართო კავშირების დამყარება მსოფლიო თანამეგობრობასთან, საქართველოს მთავრობა ხალხთა შერიგების ჟამს წარსდგა როგორც ნეიტრალური, ისე მეომარი ქვეყნების წინაშე, რათა მათ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარონ საქართველო.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით ქართველმა ერმა თავს იდვა საკუთარი საქმეების გაძლოლა, თავისი უფლებების დაცვა, მსოფლიო თანამეგობრობაში გაერთიანება და მისი ახალი მოთხოვნების შესრულება.

ეყრდნობა რა დემოკრატიულ საფუძვლებს, დამოუკიდებელი საქართველო მზადაა, წარმართოს თავისი საერთაშორისო ურთიერთობები ევროპის ხალხთა თანაცხოვრების პრინციპების შესაბამისად.

რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ არგენტინის მთავრობა აღიარებს საქართველოს და საქართველოსადმი არგენტინის მთავრობის სიმპათიის გათვალისწინებით, მოელის მის თანადგომას, რათა საქართველო დაშვებულ იქნას სამშვიდობო კონფერენციაზე.

მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაახლო თანდართული მემორანდუმები და გთხოვოთ, რათა ისინი გადაეცეს არგენტინის მთავრობას.

ეს დოკუმენტები საშუალებას მისცემენ არგენტინის მთავრობას, გაეცნოს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და საქართველოს ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეროვნულ

სუვერენიტეტზე დაყრდნობით; აგრეთვე იმ პოლიტიკური მოვლენების მოკლე აღწერას, რომლებიც წინ უსწრებდნენ ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას და დასაბუთებას იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ენიჭება საერთაშორისო ვაჭრობისა და ინდუსტრიის განვითარებაში დამოუკიდებელ საქართველოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, როგორც ცენტრალურ აზიასთან და სპარსეთთან დამაკავშირებელ ხიდს.

მაქვს რა იმედი თქვენი მთავრობის მხარდაჭერისა, ნება მობოძეთ, ბატონო ელჩო, კვლავ დავადასტურო ჩემი დიდი პატივისცემა თქვენდამი.

აკაკი ჩხენკელი“.

გერმანიის კაპიტულაციამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე – 11 ნოემბერს – არგენტინის ელჩი ბერლინში ლუის მოლინა კვლავ გზავნის ნოტას ბუენოს-აირესში, თან აკაკი ჩხენკელის ახალ წერილს ურთავს და დოქტორ პუეირედონს ტაქტიანად ახსენებს თავის პირველ ნოტას და ქართველ დიპლომატთა თხოვნას:

„ბატონო მინისტრო,

მაქვს პატივი, 30 ივლისს გამოგზავნილ ჩემს ნოტასთან დაკავშირებით, ვაახლო თქვენს აღმატებულებას ასლი წერილისა, რომელიც გადმომცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და რომელიც შეიცავს თხოვნას არგენტინის მთავრობისადმი მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე“.

ქრონოლოგიურად მომდევნო დოკუმენტი 1919 წლის 15 სექტემბრითაა დათარიღებული. ეს გახლავთ არგენტინის მთავრობის დეკრეტი საქართველოს აღიარების შესახებ. იგი მიღებულია უკვე მას შემდეგ, რაც დაიდო ვერსალისა (28 ივნისი) და სენ-ჟერმენის (10 სექტემბერი) საზავო ხელშეკრულებები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ომისშემდგომი ევროპის ახალი პოლიტიკური სახე.

აი, ეს დაკრეტიც:

„ბუენოს-აირესი, 1919 წლის 15 სექტემბერი.

განიხილა რა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 1918 წლის 10 ივლისისა და 25 ოქტომბრის წერილები,

ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება ადგენს:

არტიკული I. – აღიარებულ იქნას ახალი სახელმწიფო საქართველო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი.

არტიკული II. – გამოცხადდეს, გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბიულეტენში და გატარდეს სახელმწიფო რეესტრში“.

დადგენილებას ხელს აწერენ არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტი იპოლიტო ირიგოიენი და საგარეო საქმეთა და კულტის მინისტრი ჰონორიო პუერიედონი (პუერიედონს ერთ წელიწადში ერთა ლიგის პირველი ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად აირჩევენ.)

იქვეა მავანი სახელმწიფო მოხელის დ. ლ. მოლინარის – ალბათ კანცელარიის გამგის – მინაწერი:

„გატარდეს კანცელარიაში და ასლი გაეგზავნოს მას, ვისაც ეხება“.

ეხებოდა კი ეს ყველაფერი საქართველოს, რომლის ხელმძღვანელებსა თუ დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ვინ იცის, იქნებ უკვე დაკარგულიც ჰქონდათ რომელიმე ქვეყნისგან აღიარების იმედი. ასეთ ვითარებაში არგენტინის ბერლინის საელჩო აცნობებს საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლობას ბერლინში არგენტინის მთავრობის მიერ საქართველოს აღიარების ამბავს, რომელიც არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მას 18 სექტემბერს დეპეშით აცნობა. ამ დროისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აკაკი ჩხენკელის ნაცვლად უკვე ევგენი გეგაჭკორი ედგა სათავეში, ხოლო ბერლინში საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლობას აკაკი ჩხენკელის იმ პირველი დელეგაციის თანმხლები, აწ უკვე ელჩი ვლადიმერ ახმეტელი მეთაურობდა. 1919 წლის 7 ოქტომბერს იგი თავის არგენტინელ კოლეგას, ლუის მოლინას სწერდა:

„ბატონო ელჩო!

მაქვს პატივი, ჩემი მთავრობის სახელით მადლობა მოვახსენო არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს, როგორც

დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს, აღიარებისათვის, რესპუბლიკური და დემოკრატიული სოლიდარობის აქტისათვის, ქართველ ერთან თანამშრომლობის მზადყოფნისათვის.

არგენტინა პირველი ქვეყანაა, რომელმაც აღიარა საქართველოს სახელმწიფო და ამით მისცა ქართველ ხალხს თავისი ბედის გამოცდის საშუალება.

მაქვს პატივი, ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, პირადად გადასცეთ მადლობა არგენტინის მთავრობას ქართველი ხალხის სახელით და გამოვთქვა იმედი, რომ მომავალში გაღრმავდება მორალური თუ ეკონომიკური თანამშრომლობა საერთო პრინციპების მქონე ჩვენს ორ ქვეყანას შორის. ყოველივე ამის საფუძველს კი აღიარების აქტი წარმოადგენს.

ჩემს მთავრობას გადავეცი ბერლინში არგენტინის საელჩოს მიმდინარე წლის 22 სექტემბრის ოფიციალური კომუნიკეს ტექსტი № 1668.

მიიღეთ, ბატონო ელჩო, ჩემი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები.

დრ. ახმეტელი,

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი“.

ვლადიმერ ახმეტელის ეს სამადლობელი წერილი ლუის მოლინამ 14 ოქტომბერს გაგზავნა ბუენოს-აირესში და ასეთი ნოტა დაურთო:

„18 სექტემბერს მიღებულ დეპეშასთან და იმავე საკითხზე 25 სექტემბერს მიღებულ ნოტასთან დაკავშირებით, მაქვს პატივი, მივმართო თქვენს აღმატებულებას და გაახლოთ ასლი და თარგმანი იმ წერილისა, რომელიც გადმომცა ამ ქალაქში საქართველოს წარმომადგენელმა, დოქტორმა ახმეტელმა.

მან ეს ბარათი პირადად გადმომცა და ამავე დროს გამოთქვა დიდი კმაყოფილება არგენტინის მთავრობის მიერ საქართველოს აღიარების გამო.

მოგესალმებით, თქვენო აღმატებულებავ, და ვადასტურებ ჩემს პატივისცემას თქვენდამი.

ლუის ბ. მოლინა“.

იმ დროისათვის ევროპული დიპლომატიის ცენტრმა დამარცხებული ბერლინიდან გამარჯვებულ პარიზში გადაინაცვლა და ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, რომ მაძლობის მეორე ბარათი ბუნოს-აირესში უკვე პარიზიდან გაიგზავნა.

არგენტინის ელჩი საფრანგეთში მარცელო ტ. დე ალვეარი 23 ოქტომბერს დოქტორ პუეირედონს სწერდა:

„ბატონო მინისტრო!

მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ ჩვენთან ვიზიტით იყვნენ ბატონები ნიკოლოზ ჩხეიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და კ. გვარჯალაძე, პარლამენტის წევრი, რომლებმაც, როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოფიციალურად გამოხატეს მაძლიერება არგენტინის მთავრობის მიმართ მათი ქვეყნის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის გამო. მათ განაცხადეს, რომ ეს ფაქტი კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია იმის გამო, რომ არგენტინა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც საქართველოს ეს პატივი დასდო“.

იმავე წლის 4 ნოემბერს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ ქართველი ერის და საქართველოს ხელისუფლების მაძლიერება ოფიციალური ნოტითაც დაადასტურა, რომელიც ასევე არგენტინის პარიზელ ელჩს გადასცა. ამასთან დაკავშირებით, არგენტინის ელჩი თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს იმავე დღეს სწერს:

„ბატონო მინისტრო!

მაქვს პატივი, გაახლოთ ბ-ნ ნ. ჩხეიძის წერილის ესპანური თარგმანი. მან, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, ამავე დელეგაციის მდივნის ხელით პირადად გადმომცა ქვემოთ წერილი:

„პარიზი,

1919 წლის 4 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია.

ლაპერუზის ქუჩა, 37. № 950.

მის აღმატებულებას, არგენტინის სრულუფლებიან ელჩს საფრანგეთში.

ბატონო ელჩო!

როგორც გაგრძელება ჩვენი უკანასკნელი საუბრისა 23 ოქტომბერს, ვჩქარობ შეგატყობინოთ, რომ ტფილისიდან მიღებული უკანასკნელი ცნობის თანახმად, საქართველოს მთავრობა, დამფუძნებელი კრება და მოსახლეობა აღფრთოვანებული არიან არგენტინის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის აღიარების გამო. ქართველი ერი პატივს მიაგებს იმ მნიშვნელოვან მოტივებს, რამაც შთააგონა არგენტინის ხელისუფლება, ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს ხალხი და მთავრობა გულწრფელ მადლობას გამოხატავენ არგენტინის მთავრობის მიმართ და მე დავალებული მაქვს, თქვენო აღმატებულებავ, გთხოვოთ, რომ ამის შესახებ აცნობოთ არგენტინის მთავრობას.

მიიღეთ, ბატონო ელჩო, ჩემი ღრმა პატივისცემა.

საქართველოს დელეგაციის მეთაური ნ. ჩხეიძე“.

თქვენო აღმატებულებავ, გახსენებთ რა ჩემს ნოტას № 152 საქართველოს დელეგაციის ჩვენს საელჩოში ვიზიტის შესახებ, გამოვხატავ ჩემს დიდ პატივისცემას თქვენდამი.

მ. ტ. დე ალვეარი“.

არგენტინის მიერ საქართველოს აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტები არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოიძია და პუბლიკაციის უფლებით გადმოგვცა ბუენოს-აირესში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველმა მკვლევარმა, დოქტორმა გოჩა შათირიშვილმა. დღეს ამ დოკუმენტების ასლები საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თამარ და აკაკი პაპაძეების კაბინეტშია დაცული.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების, ჩვენთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესის პირველი და, ამდენად, ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი სრულდება თბილისიდან გაგზავნილი ნოე ჟორდანიას რადიოგრამით, რომლითაც დავიწყეთ ეს სტატია.

ორ-ნახევარი წლის შემდეგ, 1922 წელს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე წარსულის კუთვნილება იქნება, არგენტინის ელჩი პარიზში მარცელო დე ალვეარი ირიგოიენის სავარძელს დაიკავეს და არგენტინის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი პრეზიდენტი გახდება.

75 წლის შემდეგ, 1997-ში, სწორედ მისი სახელობის თეატრში დადგამს ბრეტის „სიმონა მაშარის სიზმრებს“. დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოდან ბუენოს-აირესში ჩასული რეჟისორი რობერტ სტურუა.

ხოლო მანამდე 5 წლით ადრე, 1992 წლის 9 მარტს, არგენტინის რესპუბლიკა კვლავ აღიარებს საქართველოს.

ამჯერად არგენტინა მხოლოდ 35-ე იქნება.

Paata Natcvlishvili

Diplomatic Correspondence of Argentina- Georgia in 1918-1919

Summary

The documents kept in Ministry of Foreign Affairs of Argentina are published and discussed in the article. The documents are about recognition of the Democratic Republic of Georgia by Argentina. In the article there are analyzed official letters, that are signed by the speaker of the parliament, head of government and ministers of foreign affairs of the Democratic Republic of Georgia on the one hand and the president of republic of Argentina and the minister of foreign affairs on the other hand, also ambassadors of these countries in Berlin and Paris.

მიხეილ წერეთლის უცნობი წერილები –
მიუნხენიდან ვაშინგტონამდე

მიხეილ წერეთელი მასშტაბური რანგის მოაზროვნეა. მისი ცხოვრების ქრონიკა (1878–1965) საგულისხმოა XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ქვეყნის ისტორიაში. ქუთაისის გიმნაზია; კიევის, პარიზის, ჟენევის უნივერსიტეტები... ასირიოლოგია, ეგვიპტოლოგია, აღმოსავლეთის ისტორია და კულტურა, რუსთველოლოგია... განათლების ფართო არეალი. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორი, ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდეგ ბერლინისა და ბრიუსელის უნივერსიტეტები; უზარმაზარი სამეცნიერო შრომა, გამოკვლევები, წიგნები...

„ჩვენს ბელადს სხვა ქვეყნის პატრიოტები არ უყვარსო“, –ერთმა გერმანელმა ოფიცერმა გააგონა ქართველებს; ეს ნიშანიც იყო და გაფრთხილებაც. იმხანად დააკავეს გრიგოლ ფერაძე, მერე დაატარებდნენ მის დღიურებს რომ გადაეთარგმნათ და გესტაპოსათვის ცნობილი გამხდარიყო, რას ინიშნავდა სწავლული და თეოლოგი ყოველდღიურად. ლადო ახმეტელს მიუტანეს – საქართველოს ელჩს გერმანიაში; იუარა, გერმანულად კარგად ვერ ვლაპარაკობო. კიდევ რამდენიმე ქართველს შესთავაზეს, ერთ-ერთი მათგანი მიხეილ წერეთელი გახლდათ. მიხაკომ უცნაურად აირიდა, როცა თქვა: მე საყველპურო გერმანული ვიცი, შეიძლება, ამ დღიურში რაღაც ზუსტად ისე ვერ გავიგო, როგორც ამ კაცს უწერია და მერე თავში საცემად გამიხდესო. არცოდნა დაიბრალა, უცოდინარობაზე იყო თანახმა კაცი, რომელმაც არაერთი წიგნი გამოსცა გერმანულ ენაზე, არაერთი ნაშრომი შესთავაზა ევროპას... გერმანულენოვან მკითხველს პროზაულად ნათარგმნი შოთა რუსთაველი წარუდგინა და დიდებული სულხან-საბას იგავ-არაკები... და დღიურებს ვერ გავიგებო...

საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში ან დაწერილ მოხსენებაში, ბუნებრივია, იკარგება ის გულითადი ტონი თუ ინტიმი, რომელიც წერილში ასე მძაფრად გამოისახება. არცთუ იშვიათად, ჩნდება უხერხულობის განცდაც, ეს ხომ მხოლოდ ორი ადამიანის გასაუბრებაა; სწორედ აქედან გამომდინარე, როცა დამატებით, ასეთი ფრაზაც ჩაიწერე-

ბა: „...და ჩვენ შორის იყოს“ – მომდევნო წინადადებებს სრულიად შეგნებულად ამოვიღებ.

ქართველ მეცნიერს მიხეილ წერეთელსა და ასევე, ემიგრაციაში მყოფ ცნობილ ქართველ პოეტს გიორგი გამყრელიძეს დიდი და საინტერესო მეგობრობა აკავშირებდათ. მათი წერილები სავსეა სითბოთი, ზოგჯერ ლიტერატურული პოლემიკითა და კამათითაც (არცთუ იშვიათად, ისინი იცვლიდნენ შეხედულებებს; წინათ სხვაგვარად ფიქრობდნენ, მოგვიანებით...) ამ უცნობი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ამჯერად, ოთხ ნიმუშს გაგაცნობთ. ისინი დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში, გურამ შარაძის კერძო კოლექციაში – ქემ ფ. C. ა3 –ბ. 4 –7. წერილები იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოში, არამედ სხვადასხვა კონტინენტზე მოხვედრილი ორი ქართველი პერიოდულად ეხმიანება ერთმანეთს. ამჯერად, მხოლოდ მიხეილ წერეთლის მიერ გაგზავნილ წერილებს შემოგთავაზებთ. ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში მყოფი ბარათს შეერთებულ შტატებში გაგზავნის; პირობითად ასეც დავარქვათ – მიუნხენიდან ვაშინგტონამდე.

წერილს 1960 წლის 5 ოქტომბერს მიუნხენიდან გაგზავნის მიხეილ წერეთელი:

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი!

მივიღე თქვენი წერილი, რისთვისაც დიდად გმადლობთ. პასუხის დაგვიანებისათვის კი, გთხოვთ, მომიტევოთ, რათგანაც არ ვიყავი კარგად. ძალიან მომერია სიბერე, ცოტა რამ წამაქცევს ხოლმე, და ხელებიც მიკანკალებს, რაც კარგი საქმე და ნიშანი არ არის.

„ოქროს ჩარდახი“ ძალიან მომეწონა. წიგნი მოიტაცეს და სხვებიც აღტაცებით კითხულობენ. ნიჭიერად და ჭკვიანად არის დაწერილი. ერთად-ერთი და ძლიერ მცირე ნაკლი ის არის, რომ ხან-და-ხან ზემო-იმერულს ქვემოურად ალაპარაკებს და ქვემოურს ზემოურად.

თქვენ როგორც განგიზრახავსთ „ხრესილის ომის“ დაწერა, ისე დასწერეთ, სავსებით სწორად მსჯელობთ. რა შუაშია აქ კუთხური რაღაც-რაღაცები! ისტორიული პიროვნებანი მათი დროის მიხედვით უნდა დახასიათდენ, ხოლო გადახვევა იმ მცნებათა და ზნეობის კანონთა, რომელნიც მუდმივნი არიან კულტურული კაცისათვის, იყვნენ ბველად და არიან ახლაც, არავის არ ეპატივება.

აკაკი ბელიაშვილის „მოთხრობები“ ვერ წავიკითხე. ვნახე, რომ ეს ბოლშევიკების დამალებით არის დაწერილი და დავანებე თავი.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ მწერლისათვის, თუ მას უნდა რომ დიდი, ან მნიშვნელოვანი მწერალი იყოს, არ არის საკმარისი მარტო ნიჭი, საჭიროა კარგი, „მაგარი“ ჭკუა, რომ იცოდეს, თუ რა უნდა დასწეროს და რა არა. [- - -].

გთხოვთ, ბატონო გიორგი, თქვენი პოემა მანქანაზე გადასწეროთ და ერთი ცალი მე გამომიგზავნოთ. გამიადვილდება კითხვა და ჩემს აზრსაც მალე შეგატყობინებთ.

გისურვებთ ყოველ კეთილს და წარმატებას.

თქვენი მარად პატივის-მცემელი მიხეილ წერეთელი.”

მომდევნო წერილი დათარიღებულია 1960 წლის 17 დეკემბრით.

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი!

მივიღე თქვენი წერილი და 5 დოლლარი საშობაო საჩუქარი. გულით გმადლობთ. ვწუხარ მხოლოდ რომ სამაგიერო ძღვნის მოძღვნა ვერ შემადლებინა ღმერთმა.

მოგილოცავთ გულით შობას და ახალწელიწადს და გისურვებთ მრავალს დასწრებოდეთ ბედნიერად და სიმრთელით.

გთხოვთ, ნურავითარ ყურადღებას ნუ მიაქცევთ მამაძალდი ხალხის შემოტყვევებს და სიგლახაკებს. ისინი გაუსწორებელი ადამიანები არიან და ბოროტობით ცხოვრობენ. საწყენია, მართალია, მათი სიმამაძალდე, მაგრამ წყენას უნდა სძლიოთ, და მუშაობა და შემოქმედება ყველაფერს დაგავიწყებსთ.

იყავით კარგად, გაუფრთხილდით ჯან-მრთელობას. ველი „ხრესილის ბრძოლას“.

მარად თქვენი პატივის-მცემელი და კეთილის-მსურველი
მიხეილ წერეთელი.”

1961 წლის 12 იანვარს იგზავნება მიუნხენიდან ვაშინგტონში გიორგი გამყრელიძისადმი ახალი ბარათი.

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი!

მივიღე თქვენი ლექსი, ჩემთვის მოძღვნილი და თქვენი წერილი, რისთვისაც გულით გმადლობთ. მართლაც მომაგონა ამ ლექსმა ბევრი რამ ჩემი ახალ-გაზრდობითგან, ჩემი სოფელი, ჩემიანები, ნათესავები, მთელი ჩვენი შვენიერი კუთხე. გმადლობთ განმეორებით, ბ-ნო გიორგი. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, თუ მისაღები იქნება თქვენთვის: „ღვინო ქვიშხური“, „ღვინო ჩიხურად“ შესცვალეთ. ქვიშხეთი

ქახთლშია (თუ მე არ ვიცი და ზემო-იმერეთშიც არის?), ჩიხა კი ჩვენ მიზობელი სოფელია, განთქმული ღვინით.

ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჩვენ სიგლახეს. დააკვირდით სხვებს, ყველას (*ეს სიტყვა ბაზგასმულია – რ.ნ.*), და ნახავთ, ისინი კიდევ ჩვენზედ უარესები არიან. ეს არაფერი სანუგეშოა, მაგრამ ცოტად მაინც გვშველის სასოწარკვეთილებაში.

მე არ ვარ კარგად, ბ-ნო გიორგი. ამიტომ გწერთ ასე მოკლედ.

მარად თქვენი მოყვარული და პატივის-მცემელი

მ. წერეთელი.”

პატარა ისარი მიანიშნებს, რომ ადრესატმა უკანა გვერდსაც უნდა დახედოს:

„მეც მოგილოცავთ ახალ-წელს, გისურვებთ ბედნიერად და სიმართელით დასწრებოდეთ მრავალს.

მ. წ.”

და ბოლოს, წერილი, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში საინტერესო თემას გამოკვეთს. ცნობილია, ქართულ ემიგრაციაში როგორი გამოხმაურება მოჰყვა აკაკი ბელიაშვილის ერთი პერსონაჟის ნათქვამს. განსაკუთრებით მწვავე და მკვეთრი როგორც მოსალოდნელი იყო, გრიგოლ რობაქიძე გახლდათ. მან უნევაში, 1961 წელს დაწერილი და შემდეგ, გამოქვეყნებული წერილის ერთ პასაჟში მოიხსენია ქართველი მწერალი, თუმცა ფრაგმენტი ფრჩხილებში ჩასვა. როგორც ვთქვი, მისი შეფასება საკმაოდ დაურიდებელი იყო.

ამონარიდი: „სულ სხვა ყოფილა აკაკი ბელიაშვილი. „ბლაცუჩიას“ რამ ათქმევინა ქრისტეზე ისეთი საძაგელი რამ – ამის განმეორებაც არ შემიძლია აქ – რომლის მსგავსი საუკუნეთა მანძილზე „ძალ(ლ)თაპირსაც“ არ წაცდენია. და ეს უნდა თქმულიყო ქართულ მიწაზე, რომლის ისტორიული სუნთქვა ძე ღვთისა იყო! მით უფრო სამწუხაროა ეს, რომ ა.ბ. ფრიად ნიჭიერი რომანისტია.”

მინდა ყურადღება მივაქციო: რამდენად აქტიურად ცდილობენ ლიტერატურული პროცესების საქმის კურსში ყოფნას, კითხულობენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ტექსტს და აზრსაც გამოთქვამენ. აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა „ბლაცუჩიას დიალოგები“ საქართველოში გამოქვეყნდა; ეს „საბჭოური პროპაგანდის“ და ზეწოლის მრავალთაგან ერთი ნიმუშია... რასაკვირველია, აკაკი ბელიაშვილი ნიჭიერი და საინტერესო ქართველი მწერალია. ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ მის ნაწერებს გამორჩეულ ყურადღებას უთმობენ, „სხვა თვალთ“

კითხულობენ. ხშირადაც ამიტომ ახსენებენ. მდგომარეობა იმანაც გა-
ართულა, რომ იმავე (1961) წელს აკაკი ბელიაშვილი მეუღლესთან
ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მწერალი აკაკი ბელიაშვილი
გიორგი გამყრელიძის სიძე გახლდათ. გიორგი და გრიგოლი კი მე-
გობრობდნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რობაქიძისთვის, ის ეთ-
ქვა, რასაც ფიქრობდა; წყენა... საყვედურები... ახლობლებმა ისევ წერი-
ლებით „გაარკვიეს“ „ყოველი თქმა მისს კონტექსტში უნდა განიხი-
ლო“, – მისწერს გრიგოლ რობაქიძე გიორგის და ახსნა-განმარტებასაც
მისებურად შეეცდება... მიხეილ წერეთელმაც ჩათვალა, გამოხმაურ-
ებოდა ფაქტს. როგორც წერილიდან ჩანს, ის რაღაც ფორმით ჩართუ-
ლი იყო პოლემიკაში. ამჯერად კი გადაწყვიტა, ფრთხილად, მაგრამ
საკუთარი პოზიცია წერილში მაინც გულახდილად ეთქვა მეგობრის-
თვის, თან მისეული ახსნაც დაამატა, განმარტა მომხდარი:

„ძვირფასო ბ-ნო გიორგი,

მივიღე თქვენი წერილი და 5 დოლლარი, რისთვისაც გულით
გმადლობთ.

მე არ ვარ კარგად, ძლივს გწერთ ამ წერილს, მაგრამ მაინც
გწერთ, რომ გითხრათ ორიოდე სიტყვა განსვენებულ აკაკის შესახებ:
მე გრიგოლს არ ვიცავდი ჩემ წერილში, ან რად უნდა გრიგოლს ჩემ-
გან დაცვა. მე მხოლოდ მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ ყველას გა-
უკვირდა აკაკის მიერ ისეთი რაისამე დაწერა და გრიგოლსაც, და
მეც. მხოლოდ მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს რაღაც ძალ-დატანებით
იყო გამოწვეული, თვარა აკაკი ამას არ დასწერდა, არც ბლაცუჩიას
ათქმევინებდა.

აკაკი მე უკეთეს რომანისტად მიმაჩნია ვიდრე მიხეილ ჯავახიშ-
ვილი, კოწია გამსახურდია და ლევან გოთუა (ეს მეგრელი გვათუა არ
არის, არამედ გურული გოთუა, პართენ გოთუას შვილი. პართენი
თულა გახსოვსთ). [- -] აკაკი... ნამდვილი ხელოვანი იყო კალმისა,
ჭკვიანი, იცოდა რა და როგორ უნდა ეთქვა; და ბლაცუჩიას ამბავი ძა-
ლით (სიტყვა ხაზგასმულია – რ.ნ.) მოხდა, ამაში მე დარწმუნებული
ვარ და იგი დარჩება დიდ მწერლად მუდამ.

მეტს ვერას გწერთ, ბ-ნო გიორგი, ხელი მიკანკალობს.

თქვენი მარად კეთილის-მსურველი და მადლობელი

მ. წერეთელი”

ამ წერილის დაწერიდან სულ რაღაც რამდენიმე თვეში ქართველი მეცნიერი 84 წლისა შესრულდება... ამადაც უჩივის ასე ხშირად ჯანმრთელობას...

მიხეილ წერეთლის არქივი, მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა არაერთი თვალსაზრისითაა საინტერესო და იმავდროულად, მნიშვნელოვანი.

Rusudan Nishnianidze

Unknown letters of Mikheil Tsereteli – from Munich to Washington Summary

Mikheil Tsereteli was a significant thinker. The chronics of his life (1878-1965) are very important to the public opinion of the 20th century Georgia and the history of the country. Kutaisi high school, universities of Kiev, Paris, Geneva... Asirian Studies, Egypt Studies, Oriental History and Culture, Rustvelology... broad spectrum of education. Doctor of Heidelberg University, professor of Tbilisi University, later professor of Berlin and Brussels Universities; huge scientific work, researches, books...

The warm tone and the intimacy that is so evident in his private letters, of course, is lost in the speech given publicly. There was great friendship between Mikheil Tsereteli and famous Georgian poet Giorgi Gamkrelidze who was an emigrant, too. Their letters are full of warmth, literary polemics and discussion (not rarely, they changed their views, early they had thought in a different way, later..). We will represent four speeches from this well-known epistolary heritage. They are maintained in Guram Sharadze's private collection in the Georgian Emigration Museum.

The archive of Mikheil Tsereteli and his epistolary is interesting from different views and important at the same time.

მილიონერი ქართველი ემიგრანტები ამერიკაში

პირველი ტალღის ქართული ემიგრაცია პოლიტიკური იყო. ემიგრანტთა უმეტესობამ ევროპაში ქართული პასპორტი და ლტოლვილის სტატუსი დაიტოვა. ამის გამო პროფესიულ და ფინანსურ წარმატებას უფრო ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ლათინური ამერიკაში, თურქეთში, ირანში, მანჯურიასა და სხვა ქვეყნებში მიაღწიეს. უმდიდრესი ემიგრანტებიდან უნდა აღვნიშნოთ ირანში ნავთობის მრეწველი და ბანკირი აკაკი ხოშტარია, ჭიათურის მარგანეცის მრეწველი და ირანში პირველი რკინიგზის მშენებელი ივანე ვარაზაშვილი, მანჯურიაში მოღვაწე ბიზნესმენი და სახლების მფლობელი ივლიანე ხაინდრავა, რესტორნებისა და სასტუმროების მესაკუთრეები ილიკო მხეიძე, ევსევი ახვლედიანი და სხვები. ყველაზე მეტი მდიდარი ქართველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა.

ამერიკაში პირველი ქართველები XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩავიდნენ, 80-იან წლებში – გურული ცხენოსნები ცირკის არნაზე გამოსასვლელად და რაჭველი მუშები სიეტლის რკინიგზის მშენებლობაზე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართველ ემიგრანტთა რიცხვი პოლიტიკური დევნილებით გაიზარდა, 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ – ლტოლვილებით ევროპიდან, 1932 წელს იაპონიის მიერ ჩრდილო ჩინეთის ოკუპაციის შემდეგ – მანჯურიიდან. მათ დიდ დახმარებას უწევდა 1931 წელს ამერიკაში დაარსებული ქართული სათვისტომო. 1950 წელს ქართველთა რიცხვი ამერიკაში 300-ს არ აღემატებოდა, მაგრამ ბევრ დარგში გაითქვეს სახელი: ავიაკონსტრუქტორებმა მიხეილ გრიგორაშვილმა და უმსხვილესი ავიაკომპანია „რიპაბლიკის“ ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა, სკულპტორმა ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილმა, რომლის ბესტსელერი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა 1951 წელს ჰოლივუდში ფილმად გადაიღ, პიანისტმა ერეკლე ორბელიანმა, სამკურნალო პრეპარატ „ჰემოდინის“ გამომგონებელმა ექიმმა ნიკოლოზ ჯიშკარიანმა, მოჭიდავემ და მსახიობმა კოლა ქვარიანმა, რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორმა მერაბ კვიციანიშვილმა, ამერიკული

ბალეტის ფუძემდებელმა, ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინმა, ბალერინა თამარ თუმანიშვილმა, სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელმა ოთარ ზალდასტანიშვილმა, ნიუ-იორკის ვიცე-მერმა კონსტანტინე სიდამონ-ერისთავმა, გენერალმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა, პროფესორებმა: კლივლენდის ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელმა გედევან ასათიანმა, ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ბიზანტოლოგმა კირილე თუმანიშვილმა, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის გამგემ ვახტანგ ჯობაძემ, პენსილვანიის უნივერსიტეტში ანთროპოლოგმა ალექსანდრე გრიგოლიამ, პრინსტონის უნივერსიტეტში იურისტმა დავით ჯაფარიძემ, კოლუმბიის უნივერსიტეტში ლიტერატორმა გიორგი ნაკაშიძემ, ჰარვარდის უნივერსიტეტში გივი და ოთარ ზალდასტანიშვილებმა და სხვებმა.

ამერიკელ ქართველთა შორის იყვნენ მილიონერებიც: გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი), გიორგი მაჩაბელი, ვასილ დუმბაძე, ალექს მდივანი – ამერიკის შეეტყებულ შტატებში, დიმიტრი მეტრეველი კანადაში, ავთანდილ მერაბიშვილი ჩილეში და სხვები.

1909 წელს ბორჯომის, კრასნოდარის, მიუნხენის, ლონდონის მინის ქარხნებში წარმატებული საქმიანობის 12-წლიანი გამოცდილების შემდეგ ამერიკაში ჩავიდა 26 წლის გრიგოლ კობახიძე. „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმაში 9 წელი იმუშავა და თავისი საქმის დასაწყებად ფული დააგროვა. დამატებით შემოსავლის წყაროდ გაიხადა გამოგონება, მიიღო რამდენიმე პატენტი ავტომატურ საწერ-კალმებზე. ვაჭრობდა საკანცელარიო ნივთებით. 1919 წელს ამ პატარა ბიზნესით დაგროვილი კაპიტალით მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონთან, ქალაქ ეტლებოროში დიდი ქარხანა გამართა. 1922 წელს „The Coby glass products company“-მ ამერიკის აღმოსავლეთ შტატებში მალე გაითქვა სახელი. კობის პროდუქცია ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მუდმივად ხვეწდა ტექნოლოგიას, ნერგავდა მანქანურ წარმოებას, ზრუნავდა 300-მდე მუშის და ტექნიკოს-ოსტატის პირობების გაუმჯობესებაზე. ჰყავდა შეგირდები. მისი 60 პატენტი პრესტიჟს მატებდა წარმოებას. აყვავების დროს საქონელბრუნვა 15 მილიონ დოლარს შეადგენდა, შემოსავალი – 4 მილიონს. უშვებდა 45 სახის, სამედიცინო, ქიმიურ, ლაბორატორიულ და სხვა დანიშნულების პროდუქციას, ფანჯრის მინებს, ოთახის გასატიხრ ფილებს. ყიდდა ნედლ მასალასაც (1).

საქართველოს დამოუკიდებლობას გრიგოლი ალტაცებით შეხვდა. სურდა თავისი საქმე სამშობლოს სამსახურში ჩაეყენებინა, მაგრამ 1918-1921 წლებში მისი ბიზნესი ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ოკუპაციის შემდეგაც ცდილობდა ქვეყნის დახმარებას. სანამ საქართველო სსრკ შემადგენლობაში შევიდოდა, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხელისუფლებასთან თბილისში, ქუთაისში ან ბორჯომში მინის დიდი ქარხნის მშენებლობაზე. „ნეპი“ ხელს უწყობდა უცხოურ კონცესიებს. შესთავაზეს კაპიტალის ჩადება, მაგრამ სურდა მშენებლობისათვის თვითონ ეხელმძღვანელა, რადგან ფულს ვერ ანდობდა ბოლშევიკებს. უარის შემდეგ, გადაწყვიტა რაჭაში თავის სოფელ თხმორს დახმარებოდა. თანხმობა მიიღო, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამო, სამშობლოში მხოლოდ 1925 წელს ჩამოვიდა. მეორედ 1928 წელს ეწვია საქართველოს. ბევრი რამ გაუკეთა თავის კუთხეს. დაეხმარა მრავალ გაჭირვებულ ოჯახს, თხმორს აუშენა სკოლა, აფთიაქი, მდინარე შარეულაზე გადო 2 ხიდი, შეაკეთა ეკლესია, გახსნა სავაჭროები, მოამარაგა საქონლით, მოაგვარა მრავალი წვრილმანი პრობლემა. მასთან დახმარების სათხოვნელად არა მარტო რაჭის და იმერეთის სოფლებიდან, არამედ ქუთაისიდანაც კი ჩადიოდნენ. ამ დროს შეატყობინეს, რომ დაპატიმრებას უპირებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ გაემგზავრა ქვეყნიდან.

თავისი მასშტაბებითა და ხანგრძლივობით არნახული 30-იანი წლების კრიზისის – „დიდი დეპრესიის“ დროს მრავალი ფაბრიკა-ქარხანა, საწარმო და ბანკი დაიხურა. კობის წარმოება გაკოტრდა. გრიგოლმა მილიონები დაკარგა, მაგრამ იმდენი შეძლება კიდევ შერჩა, გაჭირვებულ ქართველებს დახმარებოდა არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და საქართველოში. თავის სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფაბრიკა. ბევრ რამეს თავისი ხელით აკეთებდა. გაიხსენა საწერ-კალმებისა და საკანცელარიო ნივთების დამზადების ხელობა და მუშტარიც გაიჩინა. მისთვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გიორგი მაჩაბლის შეკვეთა – სუნამო „საქართველოს დედოფლის“ ფლაკონისა და ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველიშვილის ახალი მოდელის გამანადგურებლისათვის მინის გამძლე კაბინის დამზადება, რომელიც ფუზელაჟში ჩადიოდა.

1941 წლის 7 დეკემბერს, როცა ამერიკის შეერთებული შტატები II მსოფლიო ომში ჩაება, გრიგოლმა ოფიციალურად მიმართა ამერიკის მთავრობას და საომარი შეკვეთებისათვის მინის წარმოების

აღსადგენად ფინანსური დახმარება ითხოვა. მისი საბუთები შეისწავლეს და მალე მიიღო ლიცენზია და 2 მილიონი დოლარი. მოკლე ხანში ააწყო წარმოება და ქარხანა როდაილენდის შტატის ქალაქ პატაკეტში გახსნა. შეიძინა დანადგარები, დაიქირავა 300-მდე მუშა და დაიწყო პროდუქციის გამოშვება ქიმიური, სამედიცინო ლაბორატორიების, საავადმყოფოებისა და საველე ჰოსპიტალებისათვის. „The Coby glass products company“ კვლავ მძლავრ ფაქტორად იქცა. მის ნაწარმი კანადას და მოკავშირეებსაც მიეწოდებოდა. მალე გაისტუმრა მთავრობის ვალი და კაპიტალის დაგროვებას შეუდგა. გააუმჯობესა წარმოების ტექნიკური მხარე, მუშების ცხოვრების დონე, შემოიღო წამახალისებელი პრემიები, მრავალშვილიანთა დახმარებები და ა.შ. გრიგოლმა მრავალი ჯილდო მიიღო როგორც მთავრობის, ისე კერძო და სოციალური ორგანიზაციებისაგან. ომის შემდეგ დაიწყო ნაძვის ხის სათამაშოების დამზადება. შექმნა ქიმიური სითხით სავსე ელექტროსანთლები ე.წ. „Babel lights“, ქსელში ჩართვის შემდეგ მათში ფერადი ბუმბუტები მოძრაობდნენ. მანამდე ნაძვის ხეებს ნამდვილი სანთლებით რთავდნენ, რაც ხშირად იწვევდა ხანძრებს. შემდეგ სანთლები ფერადი მინისაგან მზადდებოდა, ქიმიური სითხის გარეშე. ფერადი მინისაგან დაამზადა სხვადასხვა ფორმის სათამაშოები და „ორნამენტი“ უწოდა. ქართული დროშისფერ ყუთებში ჩალაგებულ 24 ან 12 ცალს ეწერა „მინის საშობაო ხის ორნამენტები, კობი – ეს შობაა“. ფრანგული წარწერით ეს სათამაშოები კანადაშიც გადიოდა.

გრიგოლ კობახიძე დიდი ქველმოქმედიც იყო. ჰყავდა სტიპენდიანტები, მათ შორის რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. ბევრს დაეხმარა დიდი კრიზისის დროს. ომის შემდეგ ფულით, ტანსაცმლით, წამლებით, პირველი მოხმარების ნივთებით ეხმარებოდა ევროპაში მცხოვრებ მიხეილ წერეთელს, გრიგოლ რობაქიძეს, ვიკტორ ნოზაძეს, ივი კობახიძეს და სხვებს. 1927 წელს მან ცნობილი ქართველი ავიატორი ალექსანდრე ქართველიშვილი ამერიკაში ჩაიყვანა, 1939 წელს ასევე ხელი შეუწყო აღიარებული ექიმის, ახალი სამედიცინო პრეპარატ „ჰემოდინის“ შემქმნელი ნიკოლოზ ჯიშკარიანის მანჯურიიდან ამერიკაში გადასვლას და ა.შ. (2, 18-31).

გრიგოლს შვილი არ ჰყავდა. სცადა ამერიკაში ძმისშვილები ან ნათესავები ჩაეყვანა, მაგრამ სსრკ-ში დაწყებული რეპრესიების გამო

მათთან ურთიერთობა შეწყვიტა. 1948 წელს მას 2 ქარხანა ჰქონდა და ცოლის დახმარებით უძღვებოდა ბიზნესს. ევროპაში მინის წარმოების მცოდნე ქართველების მოძებნაც სცადა. რაკი ვერავინ დააინტერესა, მისი საქმის გამგრძელებლები კომპანიონები, იტალიური წარმოშობის ძმები ჯიმ და ჯული პაგლისები გახდნენ. 1967 წელს გრიგოლ კობახიძე გარდაიცვალა. პაგლისებს სახელი არ შეუცვლიათ წარმოებისათვის. 80-იან წლებში მათ კედელზე ეკიდათ მინის ქარხნის და წარმოების დამფუძნებლის ქართველი მრეწველის გრიგოლ კობახიძის დიდი ფოტო (3), ხოლო მის მიერ შექმნილი ნაძვის ხის სათამაშოები დღემდე იყიდება ინტერნეტ-მაღაზიებშიც კი.

ამერიკული პარფიუმერული ფირმა „Prince Matchabelli“-ს დამაარსებელია ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გიორგი მაჩაბელი. შექსპირის მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმის, ვასილის ვაჟმა გიორგიმ, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა ბერლინის სამთო აკადემიაში განაგრძო. ეროვნული სულისკვეთება მან გიმნაზიის კედლებშივე გამოამჟღავნა და ბოლომდე თავგადაკლულ ნაციონალისტად დარჩა. ის იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, 1914 წელს ქენევაში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ აქტიური წევრი, გერმანული წყალქვეშა ნავებით საქართველოში იარაღის შემოტანის ინიციატორი, ყველაზე სახიფათო, რთული დავალებების შემსრულებელი. არაერთხელ მდგარა სიკვდილის საფრთხის წინაშე (4, 32-49).

დამოუკიდებლობის წლებში იტალიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იყო. მისი ცოლი, ცნობილი იტალიელი მსახიობი ნორინა ჯილი (მარია კარმი) ამერიკაში მიწვიეს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1922 წელს, გიორგიც ამერიკაში გადასახლდა. 1924 წელს ნიუ-იორკში გახსნა ანტიკვარული მაღაზია „წითელი და შავი“ და მალე მოიხვეჭა სახელი, როგორც საქმოსანმა. ამასთან, გიორგი არ ივიწყებდა თავის ძველ გატაცებას – სუნამოების შეზავებას. მალე აღმოაჩინა, რომ მის მუშტრებს სუნამოები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ანტიკვარიატი, ამიტომ წინა პლანზე პარფიუმერია წამოწია და ანტიკვარზე ხელი საერთოდ აიღო. პარიზში ფონტენის ავენიუზე პარფიუმერიის სპეციალიზებულ მაღაზიაში მიღებული გამოცდილების შემდეგ, 1926 წელს გახსნა საკუთარი კომპანია, რომელიც 4 წელი ფართოვდებოდა და პრესტიჟული ხდებოდა. იგი

თვითონვე ქმნიდა, აშხადებდა, აფორმებდა სუნამოებს და რეკლამასაც უკეთებდა. მაჩაბლების საგვარეულო გერბზე გამოსახული სამეფო ოქროსვარაყიანი გვირგვინის გამოყენება გაფორმებაში, იღბლიანი აღმოჩნდა. პირველი იყო სახელგანთქმული სუნამო „საქართველოს დედოფალი“, რომელმაც თავისი ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმით, ამერიკის საზოგადოების აღტაცება გამოიწვია. „პრინცი მაჩაბლის გვირგვინი“, რომელიც მისი საფირმო ნიშანი გახდა, სხვა პროდუქციას – სუნამოებს, სააბაზანო ზეთ „აბანოს“, ოდეკოლონს, დაპრესილ პუდრს და პომადას ამშვენებდა. ფლაკონები თავდაპირველად გერმანული ფაიფურისაგან მზადდებოდა, შემდეგ ჯორჯ კობის მინის კომპანიაში დაამზადეს გამჭვირვალე ფლაკონი, რომელიც, ყოველ ენციკლოპედიურ ცნობარშია შეტანილი, როგორც მინის ფლაკონის ერთ-ერთ უმშვენიერესი ხელნაკეთი ნიმუში. იგი ნახევრად ავტომატური მეთოდით მზადდებოდა, ოქროთი მოვარაყება, ოქროსფერი ზარნიშისა და ზონრის დამზადება კი ხელით ხდებოდა (5). გიორგიმ ეს გვირგვინები მთელს ამერიკას მოსდო. 1929 წელს კომპანიის ფილიალი გიორგიმ პარიზშიც დააარსა და სათავეში ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სპირიდონ კედია ჩაუყენა. მაღაზია კი სახელგანთქმული „შანელის“ სუნამოების მაღაზიის წინ გახსნა. მალე მაჩაბლის პროდუქცია ლონდონშიც გავრცელდა. მისმა ფირმამ წარმატებით გადალახა 30-იანი წლების კრიზისი და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. 10 წელიწადში მან არა მარტო მილიონიანი ბიზნესი შექმნა, არამედ ნოვატორიც გახდა. როცა მაჩაბელმა თავისი ბიზნესი დაიწყო, ამერიკას საკუთარი პარფიუმერული წარმოება არ გააჩნდა. რაც მზადდებოდა, ფრანგული პროდუქციის ცუდი ასლები იყო და ძალიან ძვირი ღირდა. ამიტომ საუკუნის დასაწყისში მოდაში შემოვიდა მკერდზე დამაგრებული ყვავილებისა და თაიგულების არომატი. ასე რომ, გიორგიმ თავისი ჰობით შეავსო ის სიცარიელე, რაც იმ დროს ამერიკულ მრეწველობაში არსებობდა.

ბიზნესს მაჩაბელი არ ჩამოუშორებია საზოგადოებრივი საქმეებისაგან. იგი პავლე კვარაცხელიასთან ერთად იყო 1931 წელს ამერიკაში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და 1932-1934 წლებში მისი თავმჯდომარე.

1935 წლის ივნისში მე-5 ავენიუზე ახალი სადემონსტრაციო დარბაზის გახსნა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ველარ მოასწრო. 1935 წლის მარტში კალიფორნიასა და შანხაიში ფილიალების გასახსნელად იმოგზაურა. გზაში გაცივდა და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე წარმატებით მკურნალობდნენ პნევმონიას, ერთ კვირაში გარდაიცვალა (ზოგიერთი ინფორმაციით – საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოწამლეს). პრინცესა ნორინა მაჩაბელმა გააგრძელა ქმრის საქმე, გახსნა ბრწყინვალე სადემონსტრაციო სალონი, სადაც გამოფენილი იყო გიორგის პორტრეტი სამეფო რეგალიებით (6, 2).

ფირმა „Prince Matchabelli“ კონექტიკუტის შტატში დღემდე არსებობს, როგორც მსოფლიოს ცნობილი საპარფიუმერიო ფირმებს ღირსეული კონკურენტი. პროდუქციის უმეტესობა მისი დამფუძნებლის სახელითა და რეცეპტით გამოდის და ინტერნეტ-მაღაზიებშიც იყიდება. რაც მთავარია, საფირმო ნიშანიც იგივეა – გიორგის მაჩაბლის მიერ შექმნილი ემბლემა – ქართულჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინები.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარ გმირის ერთ-ერთი პროტოტიპზე, ვასილ (ვასო) დუმბაძეზე ჩვენში უარყოფითი აზრი იყო გავრცელებული. ვასოს რეაბილიტაცია ემიგრაციაში მისი მოღვაწეობის შესწავლის შემდეგ რამდენიმე სტატიით ვცადეთ (7).

ოზურგეთის მაზრის, სოფელ შემოქმედის მღვდლის, ცნობილი მგალობლის დავით დუმბაძის ვაჟი ვასო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა. 1906 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. წიგნად გამოცემული მისი სადიპლომო ნაშრომი ბაქოს ნავთობზე – სოლიდური გამოკვლევაა, დნეპრის ჭორომების სარწყავად გამოყენების პროექტი – გრანდიოზული, პეტროგრადის კანალიზაციის გეგმა – „იდეალურად დამუშავებული“. მეცნიერებაში დიდ წარმატებას მიაღწევდა, ვასო კი კომერციაში ჩაება და სახელიც გაითქვა. გახდა მორგანთა რუსეთ-ამერიკის ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გავლენიანი ბიძის, იალტის ქალაქისთავის გენერალ-მაიორ ივანე დუმბაძისა და კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის (რომლის მამულების მმართველიც იყო) წყალობით, განათლებული, მდიდარი, მომხიბლავი, ევროპული ენების მცოდნე, ეკონომიკური ტალანტით დაჯილდოებული, ავანტიურისტული ბუნების ვასო პეტერბურგის

უძალესი წრეების წევრი გახდა. ყურადღება მიიქცია პატრიოტული საქმეებითაც: I მსოფლიო ომის დროს იყო ნიკო დადიანის მიერ შექმნილი ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა საზოგადოების გამგეობის წევრი. იღწვოდა საქართველოს თავისუფლების მისაღწევად, პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაარსებისათვის და სხვა, თუმცა წიგნის გმირად და ცნობილ ავანტიურისტად საიდუმლო დიპლომატიამ და სამხედრო დაკვეთებმა აქცია.

რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ სუხომლინოვის აპოლოგეტური ბიოგრაფიის გამოცემის, მასთან და მის ცოლთან დაახლოების შემდეგ სამხედრო შეკვეთებმა ვასოსკენ იწყო დენა, საიდანაც სოლიდურ საკომისიოს იღებდა. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში მოთხრობილია I მსოფლიო ომისდროინდელი ამბავი, რომელმაც საერთაშორისო სკანდალის სახე შეიძინა. რუსეთის სამხედრო უწყებამ 15 მილიონი მანეთის ყუმბარების შეკვეთა, მინისტრის ცოლის წყალობით, ვასოს მიანდო. ნიკოლოზ II-მ კი, როგორც გერმანიის მმართველ წრეებთან დაახლოებულ პირს, დაავალა ნიადაგის მოსინჯვა სეპარატულ ზავზე მოსალაპარაკებლად. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრმა, გიორგი მაჩაბელმა ვასო დაარწმუნა, რომ რუსეთის დამარცხებით საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, ამიტომ სხვა კალიბრის ჭურვები ამერიკის ნაცვლად გერმანიას შეუკვეთეს. ჭურვები რუსულ ქვემეხებს არ მოერგო და დაიწყო კარპატებამდე მისული რუსეთის არმიის უკანდახევა. ვასოს დაბრუნება ჭურვების სკანდალს დაემთხვა. გერმანელებისათვის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემის ბრალდებით დააპატიმრეს. სიკვდილით დასჯა მერე ნიკოლოზ II-მ კატორღით შეუცვალა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ილო მაჩაბელმა გამოიხსნა და კიევში ჩაიყვანა. იქდან ბოლშევიკებს ევროპაში გაასწრო, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი ვასო ემიგრაციაში აღმოჩნდა.

1924 წელს ღუმბაძე ამერიკაში გადასახლდა. 1925 წელს ნიუ-იორკში გამოსცა ნაშრომი „კავკასიის რესპუბლიკები“ (8). წიგნმა მიიპყრო როგორც ამერიკელთა, ასევე ქართველთა ყურადღება. პარიზში მყოფმა საქართველოს ემიგრირებულმა მთავრობამ თავის წარმომადგენელად დანიშნა და ვასოც შეუდგა საქართველოს ოკუპაციის საკითხის გახმაურებას, რადგან ამერიკა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფილობით შეერთებულ ქვეყნად თვლიდა. ვასოს

თაოსნობით და სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის“. განთქმულ იურისტთა კომისიამ დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლება და ევროპაში გახიზნული მთავრობის კანონიერება (9, 18). 1926 წლის მარტ-აპრილში დეპუტატ კოპლენდისა და სენატორ ვალტონ-მურის შეტანილი წინადადება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნაზე, კონგრესმა, სხდომათა ოქმების 22 დამატებით და 17 ფოტოთი 361-გვერდიან წიგნად გამოსცა (10, 3). 1929 წლის 23 აპრილს სენატორ კოპლენდის „ბილი“ განიხილეს და დუმბაძე წარმომადგენლად დაამტკიცეს. ცნობილი დიპლომატის ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით კი შეიქმნა „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“, რასაც კონგრესში საქართველოს საკითხის რამდენჯერმე განხილვა მოჰყვა (11, 2).

საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმების შემდეგ დუმბაძემ საკითხი პრეზიდენტ რუზველტსაც გააცნო. მას ეხმარებოდნენ: პრეზიდენტის მდივანი მაკინტაირი, კონსული კოლუ, საარჩევნო კამპანიის წევრი ვალდმანი, საქართველოს საკითხის კურატორი კელი და სხვები, მაგრამ ევროპაში მწიფდებოდა დიდი ომი და ამერიკას საქართველოსათვის აღარ ეცალა. ვასო კი დიდხანს ასრულებდა საქართველოს ელჩის როლს. იყო 1931 წელს ნიუ-იორკის სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ოთხგზის თავმჯდომარე. ქართველთა შესაკავშირებლად აწყობდა შეკრებებსა და ნადიმებს. 1938 წელს აისლიპში მისი ინიციატივით შეიძინეს სათვისტომოს სახლი. მისი დახმარებით ამერიკაში ჩავიდა არაერთი ქართველი, რომელთაც შემდეგ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის ცხოვრებაში.

ვასოს ამერიკაში საკუთარი საქმე არ წამოუწყია. ძალიან მდიდარი იყო და ცოლადაც უმდიდრესი ქალი შეირთო – ერთ-ერთი უდიდესი გაზეთის „ჩიკაგო ტრიბუნის“ მეწილე. მდგომარეობისა და გაზეთის წყალობით ვასო ყველა უწყებაში ახერხებდა შესვლას და ქართველთა დახმარებას, ევროპაში კი ახალგაზრდებისათვის ამერიკის უნივერსიტეტებიდან საცხოვრებლით, კვებითა და სტიპენდიით უზრუნველყოფილი ადგილების ჩატანას.

ვასო დუმბაძე 1943 წელს ნიუ-იორკში გარდაიცვალა. მემკვიდრე არ დარჩენია. 27 მილიონი და ანდერძის დედანი ალბათ იქ ინახება, სადაც მუშაობდა – მორგანთა ბანკში.

1920-1930-ანი წლების ევროპულ-ამერიკული პრესა დიდ ადგილს უთმობდა და-ძმა მდივნებს. მათი სახელები ფიგურირებს ჰოლივუდის ვარსკვლავთა გახმაურებულ ისტორიებში, ელიტურ ქრონიკებში, ლიტერატურულ ტექსტებში, ფილმებში. მათ აქებდნენ ან აძაგებდნენ. ერთი ეპითეტი კი ყველას მიმართ იხმარებოდა: „მექორწინე მდივნები“ მათზე ჩვენშიც დაიწერა, უამრავი მასალა გაჩნდა ინტერნეტშიც. ბარბარა ჰატენზე 1987 წელს ჩარლზ ჯეროტიმ გადაიღო მინისერიალი „საწყალი პატარა მდიდარი ქალი“. მაგრამ აუცილებელია ქართული ემიგრანტული პრესისა და საარქივო მასალების გათვალისწინებაც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე, გენერალი ზაქარია (შაქრო) მდივანი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მეუღლით და 5 შვილით: სერგი, დავითი, ნინო, რუსუდანი, ალექსი საფრანგეთში დასახლდა. უფროსმა შვილებმა კარგი განათლება მიიღეს თბილისსა და ევროპში. ალექსი კი 12 წლისა აღმოჩნდა ემიგრაციაში. 17 წლის ალექსი ოჯახის მეგობარმა ამერიკელმა ინგლისში, კემბრიჯის კოლეჯში მიაბარა. პოლოს გუნდის კაპიტანმა მალე გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავმა სპორტსმენმა და მომხიბვლელმა პიროვნებამ. ნიუ-იორკის სიტი-ბანკის პარიზის ფილიალში მიწვევის შემდეგ მატერიალურადაც უზრუნველყოფილი გახდა. 1931 წელს ამერიკაში ჩასული, მეგობრის – ბეწვეულის მაგნატ ალენ ვან ასტორის ოჯახს ესტუმრა და მშვენიერ ლუიზა ასტორზე დაქორწინდა. იმ წელს საქართველოს ლეგაციის მდივანიც გახდა და დიპლომატიური ნიჭი, ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი უნარი, დიდი პატრიოტიზმი გამოამჟღავნა. ქველმოქმედიც აღმოჩნდა: ეხმარებოდა მოხუც მამას, ახლობლებს, საქართველოს საელჩოს პარიზში, ქართულ კოლონიას, ორგანიზაციებს. საქართველოს საკითხზე აწყობდა შეხვედრებს დეპუტატებთან, პოლიტიკოსებთან, თავისი ხარჯით აცმევდა და გზავნიდა დელეგატებს იმ კონგრესებზე, სადაც საქართველოს საკითხი იდგა. თვითონაც მიდიოდა, თუ ამის საჭიროება ჩნდებოდა.

იმ დროს მისი უფროსი და-ძმებიც იმკვიდრებენ ადგილს: მშვენიერი ნინო სამჯერ გათხოვდა. ეირე ქმერი იყო დეტექტივების მწერალ არტურ კონან-დოილის ვაჟი, ავიატორი დენის კონან-დოილი. ლამაზი, განათლებული, ნიჭიერი მოქანდაკე რუსუდანი განთქმული

მხატვარ-მონუმენტალისტის ხოზე მარია სერტის მოწაფე, მოდელი, შემდეგ კი მეუღლე გახდა.

ლუიზა ასტორთან გაყრის შემდეგ ალექსი ძმებთან ერთად ამერიკაში გადასახლდა. კალიფორნიაში ძმები ჰოლივუდის ვარსკვლავთა შორის ტრიალებდნენ. სამივე გამორჩეული იყო გარეგნობით, არისტოკრატიზმით. ამასთან, ტიტული „თავადი“ მათ სამეფო სახლის შთამომავლებად სახავდა, რაც ძალზე იზიდავდა მდიდარ ამერიკელებს. სერგის პირველი ცოლი იყო კინოვარსკვლავი პოლა ნეგრი, მეორე – საოპერო მომღერალი და კინოვარსკვლავი მერი მაკკორმიკი, მესამე – ყოფილი რძალი ლუიზა ასტორი. დავითის პირველი ცოლი გახდა კინოვარსკვლავი მეი მერეი, მეორე – „სინკლერ ოილის“ პრეზიდენტ ჰენრი სინკლერის ქალიშვილი ვირჯინია. დავითმა კალიფორნიაში ნავთობის ჭაც შეიძინა და ბიზნესში ჩაერთო. ყველანი გამდიდრდნენ და ახლობლებსაც ეხმარებოდნენ. „დიდი დეპრესიის“ ჟამს კი პარიზულ ქართველთა უმეტესობა მდივნების ხარჯზე ცხოვრობდა.

ქართული სილადით, კემბრიჯული აღზრდით, დახვეწილობით ალექსი ყოველთვის იქცეოდა საზოგადოების ყურადღებას. გულისხმიერი იყო, განიცდიდა სხვის გაჭირვებას, ყოველთვის პოულობდა სახსარს მათ დასახმარებლად, სიტყვებს – ნუგემის საცემად. ბუნებრივი ნიჭის წყალობით მისთვის „ღია იყო ყველა კარი სპორტის, ხელოვნებისა და ლიტერატურის სამყაროში“ (12, 14-15). ერთ წვეულებაზე „ქართველი პრინცი“ უმდიდრეს ქალს, „უნივერსალების მეფის“ „ვულვორტის“ იმპერიის მემკვიდრეს ბარბარა ჰატენს მოეწონა. 1933 წელს ალექსი და ბარბარა დაქორწინდნენ. ბარბარას მამას ქორწილი მილიონი დაუჯდა, პატარძალს პოლოს გუნდის ცხენების აღკაზმულობა – 50.000 დოლარი (13), ალექსიმ კი ქველმოქმედების არეალი გააფართოვა. ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, პარიზში ქართველ სტუდენტთათვის დააწესა 15 სტიპენდია (14, 218). იაპონელთა მიერ ოკუპირებული ხარბინიდან ლტოლვილი ქართველებისათვის შანხაიში ექვსსართულიანი სახლი იყიდა და მათი შვილებისათვისაც დააწესა სტიპენდიები.

1934 წელს ალექს მდივანი საქართველოს მთავრობის ლეგაციის ნაცვლად შექმნილი „ლტოლვილთა ოფისის“ მდივნად დანიშნეს. ბარბარა ველარ გაჩერდა პარიზში. ლუიზას მსგავსად, ფუფუნებაში გაზრდილი ქალისათვის ემიგრანტის ამგვარი უხვი ქველმოქმედება

ფუქსავატობას ნიშნავდა. ალექსის კი მძიმე ცხოვრება ჰქონდა გავლილი და კარგად იცოდა თანადგომის ფასი. მალე ფრანგულ პრესაშიც გაჩნდა ცნობა ამერიკაში დაბრუნებული ბარბარას ურთიერთობაზე გრაფ რევენტლოუსთან, რასაც განქორწინება მოჰყვა. გაყრის მძიმე პროცესის შემდეგ ალექსიმ ძმებს ჩააკითხა ესპანეთში. სერტის მიერ რუსუდანისათვის აშენებულ სასახლეში თავს იყრიდა პარიზული ბომონდი და ჰოლივუდის ვარსკვლავები. ახალგაზრდა დიასახლისი საერთო სიყვარულით სარგებლობდა. სალვადორ დალი უახლოეს მეგობრებად ასახელებდა „პარიზის ყველაზე ფანტასტიურ ქალებს“ ბეტინა ბერჟერს, კოკო შანელსა და რუსი მდივანს, რომელსაც ვერმეერის ნორჩი ქალიშვილის პორტრეტს ადრიდა (15). ალექსისათვის სტუმრობა ფატალური აღმოჩნდა. 28 წლის ალექსი 2 აგვისტოს პალამოს-ფიგეიროსის გზაზე დაიღუპა ავტოავარიაში. ალექსის დაღუპვა მდივნების ოჯახის ტრაგედიის დასაწყისად იქცა: ერთი წლის შემდეგ ფლორიდაში ცხენიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა სერგი. ალექსის დაღუპვით დეპრესიაში ჩავარდნილი რუსუდანი ტუბერკულოზით დაავადდა და 1938 წელს 32 წლისა გარდაიცვალა. 1935 წელს ორი დიდი ქველმოქმედის – გიორგი მაჩაბლისა და ალექსი მდივნის დაღუპვა დიდი დანაკლისი იყო ქართული ემიგრაციისათვის. „სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობებთან ერთად ალექსი მდივანს ჰქონდა მრავალი ისეთი თვისება, ნიჭი და შესაძლებლობა, რომ მას მრავალი სამსახურის გაწევა შეეძლო თავის ერისათვის“, – წერდა ჟურნალი „სამშობლო“ (16, 58-59).

ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ აღწერდა ალექსის მოღვაწეობას და ასკვნიდა: „ვინ იცის კიდევ რამდენი საუკეთესო სურვილები და შემდეგში მუშაობის გეგმები თავის ქვეყნის სასარგებლოდ ჩაიტანა საფლავში... იგი მტკივნეულად განიცდიდა სამშობლოს უბედურებას და მისგან თავის ბედის განუყოფლობას ხშირად აღნიშნავდა ხოლმე. მართალია, თავისი დაჩაგრული ქვეყნის დასაცავად პოლიტიკური განცხადებებით არ გამოსულა, მაგრამ არასოდეს უარყვია თავისი ქართველობა, არ დაუკარგავს თავისი ოჯახის და გვარის ტრადიციები და არ უღალატია თავისი ადამიანური პრინციპებისათვის. გარშემო მყოფთა ჭეშმარიტ აღტაცებას იწვევდა მისი სულიერი სიდიადე, რომელსაც პრინცი მდივანი ყოველდღიურად ავლენდა... ჭეშმარიტად, ქართველობამ

დაჰკარგა ერთი თვალსაჩინო მოამაგე და მოყვარული შვილი“ (17, 12-13).

1823 წელს კანადაში, კვებეკთან ოქროს მოპოვება და დამუშავება დაიწყო. მალე ამერიკაც ჩაერთო ამ საქმიანობაში. 1848 წელს კალიფორნიაში, 1858 წელს კოლორადოში და 1859 წელს ნევადაში ოქროს აღმოჩენას „ოქროს ციებ-ცხელება“ მოჰყვა. ბედისმაძიებლები ამერიკისაკენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაიძრნენ. XIX საუკუნის 70-იან წლებში „ციებ-ცხელება“ ჩაცხრა, მაგრამ 1890 წელს კლონდაიკსა და ალასკაზე ოქროს აღმოჩენის შემდეგ ახლა იუკონისკენ დაიძრნენ ოქროსმაძიებელთა ქარავნები, მათ შორის იყვნენ ქართველებიც. ერთ-ერთი მათგანია, დიმიტრი მეტრეველი – მაიკ მიტო.

1913 წელს 18 წლის მიტო ამერიკაში თანასოფლელთა ჯგუფს გაჰყვა, სადაც მას უკვე მრავლად დახვდნენ ქართველები, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისე დასავლეთში – ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში, ლოს-ანჯელესში, დენვერში, აგრეთვე მოსაზღვრე კანადის ქალაქებში – ტორონტოში, ოტავაში, ვანკუვერში, ედმონტონში და ა.შ. რაჭველები ძირითადად სიეტლსა და ვანკუვერში იყვნენ დაჯგუფებული. იქიდან ვიქტორიაში, საკრამენტოში, ტაკომსა და სან-ფრანცისკოში მიდიოდნენ ან კანადაში გადადიოდნენ, რადგან ამერიკასა და კანადას შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის გარდა, თავისუფალი საზღვარიც არსებობდა. ბევრი ქართველი სეზონური სამუშაოსათვის მიდიოდა ამერიკაში, ნაწილი კი სამუდამოდ დასახლდა ამერიკასა და კანადაში, რომლებსაც ერთ გეოგრაფიულ ერთეულად თვლიდნენ და „ჩრდილო ამერიკას“ უწოდებდნენ.

დიმიტრი მეტრეველი ჯერ სიეტლში ჩავიდა, შემდეგ ვანკუვერში. რიგი ქალაქების შემდეგ, საცხოვრებლად კვებეკის მახლობლად პატარა ქალაქი ვალდორი აირჩია. სადაც „ოქროს ციებ-ცხელება“ შეეყარა. მალე მიაკვლია ოქროს და ჯერ ერთი, შემდეგ კი რამდენიმე მაღარო აამუშავა. მუშებთან ერთად მის გარშემო ნელ-ნელა სხვა ხალხიც დასახლდა. დაბას, რომელიც ამ დასახლების წყალობით შეიქმნა, მისი გვარის მიხედვით ხალხმა ამერიკული მანერით „მეტრევილი“ უწოდა. ბედი ალიასკაზეც სცადა. იქ მის მაღაროებს „მიტოს ანომალიები“ უწოდეს. მალე გამდიდრდა, მაგრამ სიმდიდრეს არ შეუცვლია – უშურველად ეხმარებოდა არამართო

თანამემამულეებს ამერიკაში, არამედ სხვებსაც. მატერიალურ დახმარებას უწევდა ოჯახსა და ნათესავებს საქართველოში, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლა აუხდენელ ოცნებად დარჩა.

30-იანი წლების კრიზისმა ბევრი მილიონერი გააკოტრა. მთელი სიმდიდრე დაჰკარგა მიტომაც. დაბა მეტრევილი და „ანომალიები“ დაცარიელდა, მილიონერთა სიაში აღარ ირიცხებოდა, მაგრამ მაინც შეძლო წარმოების ისე გამართვა, რომ შეძლებულ კაცად დარჩენილიყო. ამერიკელ პარტნიორ სალერნოსთან ერთად ტორონტოში, სალმოტას ტბის მიდამოებში ალმასის საბადო აღმოაჩინა და ალმასის დამამუშავებელი საწარმო აამუშავა (18).

1970 წელს მიტოს გარდაცვალების შემდეგ, მისი საქმე უფროსმა ვაჟმა, 1950-1953 წლების კორეის ომის ვეტერანმა ავგუსტმა (აგი) განაგრძო. 80-იან წლებში ავგუსტ მიტო გონივრულად და დიდი ცოდნით წარმართავდა მამის დაწყებულ საქმეს. გახდა კომპანია „Augimitto Explorations Limited“ დამფუძნებელი და „Cache d'or Resources Inc“ პრეზიდენტი (19). საქართველოში დიმიტრი მეტრეველის ნათესავების მოძებნა ვერ შევძელით, იგი ალბათ რაჭაში, მის სოფელ უწერაშიც აღარავის ახსოვს, აღარც „მიტოს ანომალიები“ იცის ვინმემ ალიასკაზე. თუმცა დიმიტრი მეტრეველის სახელზე ერთი რამ მაინც დარჩა ამერიკაში: ეს არის პატარა ქალაქი მეტრევილი – კვებეკთან ახლოს... (20, 79-82).

1926 წელს პარიზში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის მოკლა ახალგაზრდა ქართველმა ემიგრანტმა ავთანდილ მერაბიშვილმა. სასამართლოზე ბრალმძებელმა მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მოსარჩლედ გამოსულმა ემიგრანტმა პოეტმა, რუსულად „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა კონსტანტინე ბალმონტმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. მან აღნიშნა, რომ თარგმანზე იგი დიდი ხანია მუშაობს და ღრმად ჩაწვდა ქართულ ხასიათს, რომ ამ პოემაზე აღზრდილი ქართველებისათვის ყველაზე დიდი დანაშაული რწმენის, სამშობლოსა და მეგობრის ღალატია, ვეშაპელმა კი სამივე ეს ზნეობრივი კრიტერიუმი დაარღვია და ამიტომაც დაისაჯა. ბალმონტის გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგულ სასამართლოზე, რომ მან მკვლელს მხოლოდ საფრანგეთიდან გასახლება მიუსაჯა. მერაბაშვილი გერმანიაში

გადასახლდა და ბერლინის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით თამაშით დიდი ქონება შეიძინა.

II მსოფლიო ომის შემდეგ მერაბიშვილი ამერიკაში გადასახლდა, ჯერ არგენტინაში დამკვიდრდა, რომლის პრეზიდენტმა ხუან პერონმა უპირობოდ მიიღო ევროპიდან ლტოლვილი ნაციონალისტები, შემდეგ ბოლივიაში გადავიდა, ბოლოს კი ჩილეში დასახლდა და გვარჯილისა და სპილენძის საბადოები შეიძინა. წარმოებამ მას მილიონები მოუტანა. ეწეოდა ქველმოქმედებას, მასპინძლობდა და პატრონობდა გერმანიის მხარეზე მეზრძოლ ქართველებს, რომელთა გაცემა საბჭოთა მთავრობამ ევროპელ მოკავშირეებს მოსთხოვა. ჩილეს ხელისუფლებამ 1947 წელს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაწყვიტა და ლტოლვილები შეიფარა. მათ შორის იყო ცნობილი რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე. მერაბიშვილმა დააფინანსა და გამოსცა მისი „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვანის“ 4 წიგნი, მისი ინიციატივით და ვიკტორ ნოზაძის დახმარებით ცნობილმა მთარგმნელმა გუსტავო დელა ტორემ ესპანურად თარგმნა რუსთაველის პოემა, რომელიც მისივე დაფინანსებით გამოიცა (21). 1966 წელს რუსთაველის 800 წლის იუბილეზე მერაბიშვილის შეკვეთით ჩილელმა მხატვარმა პოეტის პორტრეტი შექმნა, რომელიც ამშვენებდა ჩილელ მწერალთა ასოციაციის მიერ მოწყობილ საიუბილო სადამოს მოსაწვევს.

წარმოებაში მოგებული ფულით მერაბიშვილმა სანტ-იაგოს მახლობლად, ოკეანის სანაპიროზე მიწები იყიდა და სააგარაკო ქალაქი გააშენა. ქუჩებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ცენტრალურ გამზირს კი – თავისი გადამრჩენლის, რუსთაველის სახელი უწოდა. მშენებლობის დასრულების შემდეგ, უნდოდა ქალაქი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაეცა (22, 327-387), მაგრამ ვერც ეს სურვილი და ვერც სამშობლოს ხილვა ვედარ მოასწრო – მისი ღვაწლის დასტურად კი მხოლოდ ვიკტორ ნოზაძის 4 წიგნი, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანი, საქართველოში გამოგზავნილი საიუბილეო მოსაწვევი, ჩილეს გაზეთებში დაბეჭდილი ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის წარმატებული გასტროლების რეცენზიები (23, 2) და ის სიკეთე დარჩა, რომელიც ამერიკაში მოგზაურ ქართველთა ხსოვნაში ავთანდილ მერაბიშვილმა თავისი მასპინძლობით დატოვა.

1960-იანი წლების ბოლოს მერაბიშვილმა გაურკვეველ ვითარებაში მოიკლა თავი. როგორც გიორგი მაჩაბლის შემთხვევაში, ემიგრანტთა

ნაწილმა ეს ტრაგედია საბჭოთა სპეცსამსახურებს დაუკავშირა. არ ვიცი, რა ბედი ეწია ჩილეში მერაბიშვილის სახლსა და ქონებას, ან იმ ქალაქს, რომლის გადაცემაც თბილისის უნივერსიტეტისათვის უნდოდა...

ასე რომ, ქართული ემიგრაციის მცირერიცხოვნებისა და სიღარიბის მიუხედავად, მათ შორის იყვნენ მილიონერებიც – გრიგოლ კობახიძე, გიორგი მაჩაბელი, ვასილ დუმბაძე, ალექსი მდივანი, დიმიტრი მეტრეველი და ავთანდილ მერაბიშვილი. ამ ადამიანებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს არა მარტო ქართველ ემიგრანტთა ყოფაში, არამედ იმ ქვეყნების ისტორიაშიც, რომლებშიც მათ მოუწიათ ცხოვრება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. The Coby glass products company, Attleboro და Why Coby ampoules are vacuumfree. The Coby glass products co. Attleboro. Massachusetts. U.S.A.
2. რ. დაუშვილი, ჯორჯ კობი – ქართველი მრეწველი ამერიკაში, წიგნში „ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში“, თბ. 2002.
3. გ. კობახიძე, გრიგოლ კობახიძე, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სკრიპტები, გივი კობახიძის არქივი, თსუ ემიგრაციის მუზეუმის ფონდი.
4. რ. დაუშვილი, სუნამოების პრინცი „პრინცი მაჩაბელი“, ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში, თბ. 2002.
5. გ. კობახიძე, გიორგი მაჩაბელი, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სკრიპტები, გივი კობახიძის არქივი, თსუ ემიგრაციის მუზეუმის ფონდი.
6. Princess Matchabelli, Perfumer, Dies at 77 - New York herald tribune, Paris, june 18, 1957.
7. რ. დაუშვილი, ვასო დუმბაძე – მითი და სინამდვილე – გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001. 23-26 III. №10. გვ.4 ვასო დუმბაძე კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი – გაზ. „კრიმანჭული“, 2001, V, №1, გვ.13,17; ვის ეთათბირებოდა კვაჭი სტოკჰოლმში? – გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2001, 20-27 VII, №28, გვ.1-2; იგი სხვაა, კვაჭი სხვაა – გაზ. „თბილისი“, 2001. 19 VII. №81. გვ. 7; ვასილ დუმბაძე, კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი, წიგნში „ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში“, თბ. 2002 გვ.70-81.

8. Dumbadze V. The Caucasian Republic, New-York. 1925.
9. საქართველოს საკითხი ამერიკაში, – ჟურნ. „ბრძოლა“, 1926, №10-11.
10. დიდათ სასარგებლო წიგნი – გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, №8.
11. საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები – გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1929, №1.
12. Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani - „la revue diplomatique“, 1932, 31 II.
13. Divorce to end Marriage, Prince and Princess Mdivani - New-York Times, 1935, 17 III.
14. გ. შარაძე, თაყაიშვილი ე. წერილი გრ. დიასამიძეს, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ2, თბ. 1993.
15. С. Дали, Тайная жизнь Сальвадора Дали, рассказаная им самим bookz.ru/authors/dali-sal_vador/dali1/page-21-dali1.html -
16. ალექს მდივანი – ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1935, X, №17-18..
17. ალექს მდივანი – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №116.
18. მაიკ მიტოს საქმიანობაზე ამონაწერები კანადური გაზეთებიდან: Quebec file Ranger, 1945; Morning Digest, 1946; Noranda Weerly, 1946.
19. გ. კობახიძე, ქართველები კანადაში – გაზ. „თბილისი“, 1990, 14,16,17.
20. რ. დაუშვილი, ქართველი ოქროსმრეწველი ამერიკასა და კანადაში, ამერიკის შესწავლის საკითხები, II, თსუ, 2003..
21. Sota Rustaveli, El Caballero de la Piel de Tigre, Santiago de Chile, 1966.
22. ქართველი ემიგრანტების წერილები სარა მერაბიშვილისადმი (პუბლიკაცია მოამზადა ლალი ცომაიამ), ლიტერატურის მატრიანე, თბ, 1992.
23. Encontro com as estrel as do ballet sovietico, Diakio de S. Paulo, 3 VIII, 1958.

ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიიდან - გაზეთი
„მამულიშვილი“

1926-1928 წლებში, პარიზში, სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა ემიგრანტი ეროვნულ-დემოკრატიების ერთი ჯგუფის ორგანო, გაზეთი „მამულიშვილი“. გაზეთს ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი რევაზ გაბაშვილი რედაქტორობდა. გაზეთში თანამშრომლობდნენ: შალვა ამირეჯიბი (შ. ა-ბი), დავით ვაჩნაძე (ვახელი, დონვიჩი), რაფიელ ინგილო, გიორგი გვაზავა, ტიტე მარგველაშვილი (ტ. ნ.), ავტორები ფსევდონიმებით: ფარი, ეგრისელი და სხვები.

გაზეთის პირველი ნომერი 1926 წლის სექტემბერში გამოვიდა. მოწინავე წერილი, რომელიც გაზეთის რედაქტორს ეკუთვნოდა, იმავდროულად, ქართველ ემიგრანტ მამულიშვილთა სამოქმედო პროგრამადაც შეიძლება ჩაითვალოს. გაზეთი აგრძელებდა დამოუკიდებლობის წლებში საქართველოში გამოძვალაი ეროვნულ-დემოკრატიული პრესის ტრადიციას, აწვითარებდა მათ იდეურ-პოლიტიკურ ორიენტაციას, მხარს უჭერდა და ამაგრებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. „დღეს ჩვენი გაზეთი ისევ იწყებს გამოსვლას, - ვკითხულობთ მოწინავე სტატიაში, - ის გამოდის მძიმე პირობებში, როცა საქართველო დაპყრობილია გარეშე ძალებისაგან და თითონ პარტია, ნაბრძოლები და დაფლეთილის გულით, დაყენებულია კანონგარეშე, მაგრამ მით უფრო დიდია მისი მნიშვნელობა პარტიისათვის, მით უფრო დიდი იქნება მისი როლი იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა ქართველი ხალხი უცხო ძალის თავისი ქვეყნიდან გასარეკად და საკუთარი დამოუკიდებლობის აღსადგენად“.

გაზეთის მთავარ ლოზუნგად ქართული ეროვნული ძალებისა და მრავალპარტიული სპექტრის გაერთიანება, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მათი შეთანხმებული ბრძოლა იყო გამოცხადებული. დამოუკიდებლობის გარშემო ერთიანი ფრონტის შექმნას გაზეთი აპირებდა საზოგადოებრივი აზრის დარაზმვითა და ეროვნული მთლიანობის იდეის გააქტიურებით. რაც არ უნდა შეუთანხმებელი ყოფილიყო ქართული პარტიების ლიდერთა შეხედულებანი, ქართველი ერის უმთავრესი ნაწილის გაჯანსაღებული აზრი აუცილებლად დადგებოდა თითოეულ პარტიის ნომენკლატურაზე მალა და საქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოლებდა.

რევაზ გაბაშვილი გაერთიანების შესაძლებლობას შემდეგნაირად ხსნიდა: ყველა პარტია საქართველოში, ეროვნულ-დემოკრატიულის გარდა, სოციალისტური, რუსული ორიენტაციის იყო როგორც შეგნებითა და ფსიქიკით, ასევე ორგანიზაციითა და პოლიტიკური ორიენტაციით. ამით ამწვავებდა ეროვნულ ბრძოლას, მაგრამ ეს პარტიები იყვნენ რევოლუციურიც, რაც გულისხმობდა მათ საბრძოლო დაპირისპირებას რუსეთის წინააღმდეგ, ამით კი ისინი საყოველთაო თანაგრძნობას იმსახურებდნენ ქართველი ხალხის თვალში. ამის გამო, დამოუკიდებლობის შემდეგ ეს პარტიები ქართული პარტიები გახდნენ. საქართველოს დაცვაში ისინი ეროვნულ ძალებთან დადგნენ. გაბაშვილს მიაჩნდა, რომ ყველა სოციალისტური პრინციპი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მის ინტერესებს მოემსახურებოდა და ბევრ რამეში პარტიებიც შეთანხმდებოდნენ.

გაზეთის პირველივე ნომერში გამოქვეყნდა გიორგი გვაზავას წერილი - „ეროვნული ფრონტი“. გვაზავაც იმ აზრის იყო, რომ პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთთან კი არ უნდა ებრძოლათ, როგორც ეს დამოუკიდებელ საქართველოში ხდებოდა, არამედ ერთად შეემუშავენინათ ბოლშევიკური მარწუხებიდან ქვეყნის დახსნის გეგმა. თავისუფალ ქვეყანაში ბუნებრივი იყო პროგრამული საკითხების ირგვლივ პაექრობა, დაპყრობილ საქართველოში სხვა პრობლემა დადგა. ეს იყო ერის სუვერენიტეტის აღდგენა. „ამ დიადი მიზნის წინ უნდა ჰქრებოდეს პარტიული შუღლი და უთანხმოება. დოქტრინალური შეურიგებლობა შეუწყნარებელი და სასირცხვილოა. ერთობა საჭიროა და სავალდებულოც“, - წერდა გვაზავა. ეროვნული ფრონტის განმტკიცებაში ის რამდენიმე მომენტს გამოჰყოფდა. პირველი, ეს იყო ეროვნული ნებისყოფის საკითხი, რასაც ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე უკავშირებდა საქართველოს კანონიერი და ხალხისგან არჩეული მთავრობის ერთგულებას, ყველა ეროვნული ძალის მის გარშემო დარაზმვას. „დამოუკიდებლობის ნიადაგზე აღმოცენდა ეროვნული მთავრობა. კარგია, თუ ავი ეს მთავრობა, მოგვწონს თუ არა ის პერსონალურად ან მისი სოციალური კონცეფციის მიხედვით, ეს სულ სხვა საკითხია და ამისთანა საკითხებმა არ უნდა დაჩრდილოს უმთავრესი მისი აზრი და შინაარსი. ის არის ეროვნული და კანონიერი, იგი აბამს ისტორიაში ეროვნული ცხოვრების განუწყვეტელ ძაფს და ჩვენ, საქართველოს შვილები, ხელს ვერ ავწევთ ამ ძაფის გასაწყვეტად. პირიქით, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით გავამაგროთ ეს მთავრობა, სანამ მან არ გადაუხვია ეროვნული ნებისყოფით აღნიშნულ გზას და სანამ ხელში უჭირავს დამოუკიდებელი საქართველოს დრო-

შა“ (1). მარტო ამ სიტყვებიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რა მაღალ დონეზე იდგა ქართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა პოლიტიკური აზროვნება, როგორ უსწრებდა ის წინ არა მარტო იმდროინდელ პოლიტიკურ დონეს, არამედ ზოგჯერ დღევანდელსაც. გვაზავას აზრით, მართალია, მთავრობამ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად დაჰკარგა ძალა, მაგრამ შერჩა უფლებები, რაც საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კონსტიტუციით მას აძლევდა ბრძოლის გაგრძელების საშუალებას. ქართველი ერის სახელით მხოლოდ მას შეეძლო ლაპარაკი, ამიტომ ყველა პარტიას უნდა ეზრუნა მისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად, პრესტიჟის ასამაღლებლად. იქ, სადაც მთავრობა მოისუსტებდა, უნდა დახმარებოდნენ და გაეძლიერებინათ.

გვაზავას მიაჩნდა, რომ ქართული პარტიების დარაზმვას ეროვნული იდეის გარშემო ხელი შეუწყო უცხოეთში რამდემე წლის გადახვეწამ და წარსულის შეცდომათა გააზრებამ. შორიდან სამშობლო უფრო მშვენიერი და საყვარელი გამოჩნდა, საქართველოს „განწირული მშვენიერება“ უხმობდა ყველას მის დასახმარებლად. პარტიებს შეეძლოთ ეთანამშრომლათ სხვა პარტიებთან, ეკეთებინათ საკუთარი საქმე, ერთში კი შეთანხმებულად უნდა ემოქმედათ: ეროვნული ფრონტის ერთიანობა არ უნდა დაერღვიათ. ერთადერთ პარტიად, რომელთანაც ეროვნული იდეის გაზიარება არ შეიძლებოდა, გვაზავა ბოლშევიკებს თვლიდა და თუ ვინმე წამოაყენებდა მათთან თანამშრომლობის იდეას, ეს ნამდვილი პროვოკაცია იქნებოდა.

გაზეთ „მამულიშვილის“ ფურცლებზე მისი პუბლიცისტები აყენებდნენ ერთიანი კავკასიის იდეას, მიაჩნდათ, რომ მხოლოდ კავკასიის გაერთიანება, მისი ერების შეთანხმებული ბრძოლა დაამარცხებდა რუსულ იმპერიალიზმს, დაამსხვრევდა კავკასიელი ხალხის მონობის ბორკილებს. ამ თემას გაზეთის მეორე ნომერში ეხმაურებოდა გიორგი გვაზავას წერილი – „მთლიანი კავკასია“ (2).

ამავე პერიოდში, გაზეთ „მამულიშვილის“ მესამე ნომერში გამოქვეყნდა პარიზში შექმნილი კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ პროკლამაცია – „ბრძოლა კავკასიის დამოუკიდებლობისათვის“. იგი კავკასიელებს რუსული ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

1927 წელს გაზეთის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა შალვა ამირეჯიბის წერილი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულმა მოღვაწემ 1927 წლის 18 დეკემბერს პარიზში გამართულ ილიას ხსოვნის საღამოზე წარმოთქვა.

სხდომა ილიას ტრაგიკული სიკვდილიდან 20 წლის თარიღს მიეძღვნა. შალვა ამირეჯიბმა სცადა ახლებურად შეეფასებინა დიდი ქართველი მწერლის შემოქმედება და საზოგადოებრივი ღვაწლი.

გაზეთი „მამულიშვილი“ შეეხო ემიგრაციის პერიოდში, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარ განხეთქილებას. დამოუკიდებელ საქართველოშიც არ იყო უცხო ამ პარტიის შიგნით უთანხმოება და განხეთქილება, მაგრამ ემიგრაციაში ეს საკითხი უფრო მძაფრად წარმოჩნდა, მითუმეტეს, დაიწყო ბრძოლა ეროვნული იდეის გარშემო ძალთა კონსოლიდაციისათვის. გაზეთი „მამულიშვილი“ და მის ირგვლივ შემოკრებილი ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი სხვა პარტიებს მოუწოდებდნენ სოლიდარობისაკენ, ცდილობდნენ რადიკალურად განსხვავებული სოციალისტური იდეოლოგიაც კი გაემართლებინათ, თუკი ამ იდეის მიმდევარნი ეროვნული საქმის ერთგულები და საქართველოს დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლები იქნებოდნენ. „მამულიშვილის“ პუბლიცისტები დაუპირისპირდნენ პარტიის თავმჯდომარეს – სპირიდონ კედიას, რომელმაც 1925 წელს პარიზში გამოსცა ჟურნალი „სამშობლოსათვის“. ემიგრანტული ჟურნალისტიკის ცნობილი მკვლევარი და გამომცემელი გურამ შარაძე მიუთითებს კედიას მიერ პარტიის რღვევის ტენდენციაზე (3, 39), თუმცა ამას ყველა მკვლევარი არ იზიარებს.

გაზეთმა „მამულიშვილმა“ და მისმა რედაქტორმა მკაცრად გააკრიტიკა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და მისი საქმიანობა საზღვარგარეთ მოღვაწეობის პერიოდში. 1927 წლის ნოემბერში „მამულიშვილის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროს განცხადება „ჩვენი პარტიის საყურადღებოდ“, სადაც კედია და მისი პარტიული ორგანო „სამშობლოსათვის“ მკაცრად იყო გაკრიტიკებული (4).

დოკუმენტში სპირიდონ კედიას მთელი პარტიული საქმიანობა საზღვარგარეთ „ფრაქციონისტისა და დეზორგანიზატორის საქმიანობად“ ცხადდებოდა. მოტანილი მაგალითებით, განცხადების ავტორები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კედია ხელს უშლიდა ერთიანობის შენარჩუნებას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში და მთლიანად ქართულ ეროვნულ წრეებში განხეთქილება შეჰქონდა. განცხადებას ახლდა რეზოლუცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ „კედია თავისი საჯარო გამოსვლებით და მოქმედებით ებრძოდა პარტიის ძირითად პრინციპებს, პოლიტიკა და ტაქტიკას, რითაც არღვევდა ეროვნული მუშაობის მთლიანობას, გამოხატულს ყველა პოლიტიკურ პარტიათა და

მთავრობის შეთანხმებაში, რომლის პირობათა შემუშავებაში თვითონ კედია იღებდა მონაწილეობას“ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, პარტიზის კომიტეტი კედიას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხვას ადასტურებდა.

კიდევ უფრო მკაცრი იყო შალვა ამირეჯიბის წერილი – „ბუნებისათვის ლიდერისა“, რომელიც გაზეთ „მამულიშვილის“ მეექვსე ნომერში დაიბეჭდა. ამირეჯიბი კედიას უწუნებდა ლიდერის თვისებების ნაკლებობას, არაპრაგმატულობას, პოლიტიკურ კრიზისში ჩავარდნას. „რატომ დაემართა კედიას ასე? – კითხულობდა შალვა ამირეჯიბი და თავადვე პასუხობდა: ასე დაემართა იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიიდან მხოლოდ ერთი რამ შეიტვისა ომი მარქსიზმს! მაგრამ თუ მარქსიზმი პოლიტიკურ პარტიას შობდა ჩვენში, თუ ეს პოლიტიკური პარტია ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე შედგებოდა და თუ ამ პარტიასთან სხვა ეროვნული ძალების კავშირი აუცილებელი გახდებოდა, კედიას გამორჩა და მისი ეროვნულ-დემოკრატიზმი ფრთამოტეხილი წიწილა გამოვიდა. მოკლედ, კედიამ პარტიიდან საქმე გააგდო და მარტო იდეოლოგიაზე დაჯდა. ჟორდანიას მთავრობას უტევს, რადგან ჟორდანია სოციალისტია და საზოგადოთ ქართულ მთავრობასთან ბრძოლა გამოუდის. „მენშევიკს“ გაურბის და ქართველ ხალხსა და მის მთლიანობას კი შორდება. ეროვნულ-დემოკრატიზმისა ამაში ნატამალიც არ არის.“ ამირეჯიბის აზრით, სოციალისტურ იდეებთან და მთავრობასთან დაპირისპირება-ბრძოლა დამოუკიდებელ საქართველოში იყო „ეროვნულ-დემოკრატიული საქმე“, მაგრამ როდესაც ეს მთავრობა დევნილია, მისი და ეროვნული ფრონტის საერთო საქმე დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაა (5).

„მამულიშვილის“ ამ პუბლიკაციებში წამოჭრილი დავის დეტალებში გასარკვევად, აუცილებელია კომპლექსურად გავიაზროთ თითოეული მოპაექრის განვლილი გზა, მათი ჟურნალისტური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნააზრევი და ისინი ერთმანეთს შევუდაროთ. რევაზ გაბაშვილის მთელი პუბლიცისტური მემკვიდრეობა ადასტურებს, რომ ის იყო რადიკალურად მოაზროვნე, სოციალისტურ იდეოლოგიასთან სწორედ იმგვარად შეურიგებელი, როგორც ამას შალვა ამირეჯიბი კედიას მიაწერს. გაბაშვილის რადიკალიზმი სოციალისტური იდეოლოგიისადმი კარგად ჩანდა ჟურნალ „კლდესა“ თუ გაზეთ „საქართველოში“, დამოუკიდებლობამდე თუ თავისუფალ საქართველოში, ასევე ემიგრაციაში მოგვიანებით დაწერილ მოგონებათა კრებულში – „რაც მახსოვს“. ამ საკითხში შესაძლოა კედიას პოზიცია უფრო რბილიც იყო და ძნელი გასაგები გახდეს საერთო ეროვნულ

ფრონტში მის გამთიშველურ როლზე საუბარი. მითუმეტეს, თუ კედი-
ას პირად არქივში დაცულ ჟორდანის ერთ წერილს გავიხსენებთ,
რომელიც 30-იან წლებშია დაწერილი. „ბატონო სპირიდონ, ამასთანავე
გაახლებთ დაპირებისამებრ ჩემს წერილობით მოსაზრებას ემიგრაციის
გაერთიანების შესახებ. იმედია, მას წაიკითხავთ და გაარჩევთ შემა-
თანხმებელ კომისიაში. ამავე მიმართვას გადავცემ ჩვენს ცენტრს, ნაც.
მთავრობას და ადგილობრივი სოც. დემ. ორგანიზაციის ხელმძღვანელ
ორგანოს. მე იმედი მაქვს, თქვენ მიიღებთ და სხვებსაც მიაღებინებთ
ამ პლატფორმის დედააზრებს და ორგანიზაციულ ფორმებს. თქვენთან
შეხვედრიდან მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენს შრის აზრთა დი-
დი განსხვავება არ უნდა იყოს“ (ხაზი ჩემია, – მ. ტ.). ღრმა პატივის-
ცემით ნ. ჟორდანია (6, 85).

ცხადია, ბარიკადის ნებისმიერ მხარეს დამდგარ ქართველ პო-
ლიტიკოსს, ტენდენციურობა ახასიათებდა, მათ შორის, ტენდენციუ-
რი იყო „მამულიშვილის“ კრიტიკული წერილებიც პოლიტიკური ოპ-
ონენტებისადმი. კერძოდ, რაფიელ ინგილოს წერილი „ერთად თუ
დაქსაქსვით“? (7), ალექსანდრე ასათიანის შეხედულება კედიაზე (8,
62) და თავად კედიას მიერ ყოფილი თანაპარტიელების შეფასებაც.
ცალკე აღებული ყველა ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე, მათ შორის
„მამულიშვილის“ პუბლიცისტები და მათი კრიტიკის ობიექტად ქცე-
ული სპირდონ კედია სამშობლოს ერთგული ადამიანები, მხურვალე
პატრიოტები და საქართველოსთვის თავგადადებული რაინდები იყ-
ვნენ. მათ შორის შულლისა და გაუგებრობის ჩამოგდებას, ხელოვნურ
გათიშვას გარკვეული ძალები სპეციალურად ცდილობდნენ, თუმცა
არც ქართული ხასიათი უნდა დავივიწყოთ. წინააღმდეგობას აღრმა-
ვებდა ქართველ პოლიტიკოსებში ასე გავრცელებული ლიდერობის
წყურვილი და ემიგრანტებს შორის ბოლშევიკური რეჟიმისგან შეგ-
ზავნილი ჩეკისტური ჯგუფები. სპირდონ კედიასადმი მიძღვნილ მო-
ნოგრაფიაში ამ მოვლენას ასე ხსნის მკვლევარი ოთარ ჯანელიძე:
„ცალკეული ჩვენი თანამემამულის გადაჭარბებული თავმოყვარეობა,
საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობა ემიგრანტთა გახლეჩვაში
არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა. მაგრამ უცილობელი ფაქტია
ასიც, რომ ქართული ემიგრაციის (თუნდაც პოლიტიკური პარტიების
შიგნით) დაშლა-დანაწევრების პროცესს აღრმავებდა საბჭოთა ხელი-
სუფლების შეუნელებელი ძალისხმევაც – უცხოეთში საგანგებოდ ამ
მიზნით მივლინებულ „ჩეკას“ მრავალრიცხოვან აგენტთა თუ განსა-
კუთრებულ ემისართა ძირგამომთხრელი საქმიანობა. შედეგი სავალა-

ლო იყო. თითქმის ყოველ ხუთ ემიგრანტზე მოდიოდა თითო ლიდერი“ (9, 174).

სოფიო ჩიჯავაძე-კედიაც, საზღვარგარეთ მოღვაწე ეროვნულ-დემოკრატების შესახებ თავის მოგონებებში, აღნიშნავს: „დაქუცმაცებული ჯგუფები ერთმანეთის კილვასა და ურიგობას უფრო ემსახურებოდნენ, ვიდრე ეროვნულ ინტერესებს, ვერც ერთმანეთში რიგდებოდნენ“ (10, 365).

მართალია, ერთობასა და თანხმობაზე ხშირად იწერებოდა „მამულიშვილის“ ფურცლებზე, მაგრამ გაზეთი ვერ თმობდა ძველ ოპონენტებთან, სოციალ-დემოკრატ ლიდერებთან პაექრობას. შალვა ამირეჯიბი წერილში – „ზავი წერეთელი და ომი ჟორდანია“, სპირდონ კედიას გარდა, მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ირაკლი წერეთელსა და ნოე ჟორდანიასაც (11). მარქსიზმის, ფედერალიზმისა და გადამეტებული დემოკრატიზმის იდეები, დავით ვაჩნაძის აზრით, ეროვნული თავისუფლების იდეას ჰკლავდა. საქართველოს ყველაზე დიდი განსაცდელი რუსეთისგან ემუქრებოდა, რომელიც უხეშად თელავდა მის სხეულს და უამრავი მსხვერპლი პირდაპირ მოითხოვდა ქართველი პოლიტიკოსებისგან გაერთიანებას, მტრის დამარცხებას. დავით ვაჩნაძის (ვახელის) ამ წერილს გაზეთის მე-4 და მე-5 ნომრებშიც ჰქონდა გაგრძელება. სტატია ასე მთავრდებოდა: „დღეს, როცა მტრის მძიმე ფეხი გულზედ აქვს დაჭერილი ჩვენს სამშობლოს, სირცხვილია დავა სამშობლოს მომავალი მოწყობის მეთოდებზედ. დღეს ყველა ჯურის ქართველს საერთო მტერი გვყავს; და არა ჯგუფური, არა პარტიული, არა პერსონალური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, არამედ დავივიწყოთ დროებით ყველაფერი გამყოფი, გამთიშავი და განვავითაროთ შემაერთებელი, საქართველოს ერთ ლითონად გარდამქცევი უდიდესი მოვალეობის წინაშე – სამშობლოს დახსნისა. უნდა გავაერთიანოთ ყველა ძალა საერთო და ხანგრძლივი იერიშისათვის, და არა დაქსაქსულობით ვუწყობდეთ ხელს ვერაგ მოძალადეებს...“

ქართველი ერის ერთიანობაზე წერდა იოსებ ხანანაშვილიც გაზეთის პირველივე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში – „ჩატეხილი ხიდი“. ამ სათაურით ის აკრიტიკებდა რუსულ პოლიტიკას როგორც მონარქიზმის, ისევე საბჭოთა ხანაში, ამტკიცებდა, რომ რუსეთში არასოდეს იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე პარტია ან ჯგუფი, რომ ხიდი ჩატეხილი იყო ორ ქვეყანას შორის და ეს ყველა ქართველ პოლიტიკოსს უნდა შეეგნო. „ქართული პოლიტიკური აზრის ზოგიერთი შტოს იმედი, რომ საქართველოს... ახალი პერსპექტივები გადაეშლებოდა რუსეთში დემოკრატიული და სოციალისტუ-

რი წეს-წყობილების დამყარებით, ძირიანად შემცდარი გამოდგა და ეს არის, თუ გნებავთ, ერთი დიდი მიზეზთაგანი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობისა. ხოლო ამ შეცდომის შეგნება გვავალებს სრულიად პატიოსნად და მოკლედ ვსთქვათ: რუსეთსა და საქართველოს შორის ჩატესილი ხიდი აღარ უნდა გამთელდეს!.. ერთ სახელმწიფო ორგანიზმში მოთავსება ქართველი და რუსის ერისა ვერც ერთსა და ვერც მეორე ერს ვერ წაიყვანს ეროვნულ-კულტურული განვითარებისა და პროგრესისი გზით.. ეს აზრი უნდა შეიგნონ და ამას შეურიგდენ რუსებიც, რადგან რუსეთთან ურთიერთობა შეიძლება იყოს მხოლოდ საერთაშორისო ხასიათისა, როგორც ყველა სხვა დამოუკიდებელი ერებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწყებული ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათს მიიღებს... ამ წმინდა ბრძოლისაკენ მოვუწოდებთ ჩვენც მთელ საქართველოს. რუსეთი კი, რა ფერისაც უნდა იყოს იგი, მწარე, გატანჯული წარსულის მოგონებებითა აღინიშნება ქართველი ერის მეხიერებაში“ (12).

გაზეთ „მამულიშვილში“ იბეჭდებოდა საინტერესო ისტორიული ქრონიკები, რაც ქართველ მკითხველში პატრიოტიზმის განმტკიცებას და ისტორიული ტრადიციის დაცვის სურვილს აღძრავდა. გაზეთს ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „ემიგრაციის ცხოვრებიდან“, „ქრონიკა“, „პრესა“, „ბიბლიოგრაფია“, „ნეკროლოგები“. პირველად „მამულიშვილმა“ მიაწოდა ინფორმაცია მკითხველს 1927 წელს პარიზში გამოცემულ რემონ დიუგეს წიგნზე – „მოსკოვი და წამებული საქართველო“, რომელიც ფარდას ხდიდა საქართველოს ოკუპაციას ბოლშევიკი დამპყრობლების მიერ. რუბრიკებში იბეჭდებოდა მასალები საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ჩეკას მიერ ქართველ პატრიოტთა დახვრეტებზე, გარდაცვლილ მამულიშვილებზე, ასევე ემიგრაციაში მომხდარ კულტურულ და ყოფით მოვლენებზე.

ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი იდეურ-პოლიტიკური აზროვნების მიუხედავად, გაზეთმა „მამულიშვილმა“ შეასრულა დადებითი როლი ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში, მისი პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული ცნობიერების გაღრმავებაში. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილი პუბლიცისტების – რევაზ გაბაშვილის, გიორგი გვაზავას, დავით ვაჩნაძის, რაფიელ ინგილოს, ალექსანდრე ასათიანის, იოსებ ხანანაშვილის და სხვათა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა საქართველოს უახლესი პერიოდისა და ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესასწავლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. რ. გაბაშვილი, სარედაქციო წერილი, გაზეთი „მამულიშვილი“, 1926 წ., №1.
2. გ. გვაზავა, ეროვნული ფრონტი, გაზეთი „მამულიშვილი“, 1926 წ., №1.
3. გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი II, თბ., 2001.
4. „ჩვენი პარტიის საყურადღებოდ“, ედპ-ს პარიზის კომიტეტის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროს განცხადება, გაზეთი „მამულიშვილი“, 1927 წ., №4.
5. შ. ამირეჯიბი, „ბუნებისათვის ლიდერისა“, გაზეთი „მამულიშვილი“, 1928 წ., №6.
6. სპირდონ კედია, მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
7. რაფიელ ინგილო, „ერთად თუ დაქსაქსვით“?, გაზეთი „მამულიშვილი“, 1928 წ., №7.
8. ა. ასათიანი, „პარტიული ცხოვრება“, ჟურნალი „სამშობლო“, პარიზი, 1932, № 12.
9. ო. ჯანელიძე, სპირდონ კედია, პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.
10. ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ., 2002.
11. შ. ამირეჯიბი, „ზავი წერეთელი და ომი ჟორდანია“, გაზეთი „მამულიშვილი“, 1927 წ., №4.
12. ი. ხახანაშვილი, „ჩატეხილი ხიდი“, გაზეთი „მამულიშვილი“, 1926 წ., №1.

From the History of the Emigrant Press – Newspaper

„Mamulishvili“

Summary

The Georgian National-Democratic party was divided into several groups. The article discusses the history of the newspaper “Mamulishvili” established in Paris by one of these groups. The editor of the newspaper was Revaz Gabashvili. The newspaper was published in 1926-1928 years and maintained the tradition of the Georgian National-Democratic press, supported and popularized the idea of Georgia’s sovereignty.

“Mamulishvili” reasoned to unify the Georgian national emigrant groups and establish a united front to coordinate the efforts for the liberation of Georgia.

The newspaper bitterly criticized the first government of Georgia. Herewith, according to some publicists, despite the fact that the government lost real force in the emigration, it maintained its rights. In accordance with the international law and the Georgian constitution, the government could continue working by the name of the Georgian nation. So, every party should have ensured the maintenance of the government’s authority and prestige.

The editorial board supported the idea of the united Caucasus. They thought that only the unification of Caucasus and the coordination fight of its nations could have defeated the Russian imperialism and brought liberty.

The newspaper “Mamulishvili” played a positive role in the life of the Georgian emigration and contributed much to deepen its political and historical-cultural consciousness.

ახალი ქართული ემიგრაციის შუქ-ჩრდილები.

ზუსტი სტატისტიკა იმის შესახებ, საქართველოს რამდენი მოქალაქე (ქართველი ან არაქართველი), ტოვებს წლის განმავლობაში საქართველოს, სამწუხაროდ, არ არსებობს. მაგრამ იმის მიხედვით ნამდვილად არ არის ძნელი, უფრო მეტი ადამიანი გადის საქართველოდან, თუ ბრუნდება უკან. თუმცა, ოფიციალური სტრუქტურები სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავენ, რისთვისაც „საქსტატის“, ანუ სტატისტიკის ყიფილი დეპარტამენტის მონაცემებს იშველიებენ. მათი ინფორმაციით, ემიგრაციის დადებითი სალდოს ტენდენცია 2007 წლიდან იწყება და უკან დაბრუნებულ ქართველთა რიცხვი ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს: კერძოდ, 2007 წელს საქართველოში ჩამოსულთა რაოდენობა 10 000-ით აჭარბებდა გასულთა რიცხვს, 2008 წელს ეს ციფრი 20 000-მდე გაიზარდა. ხოლო 2009 წელს 34 000 ქართველით მეტი დაბრუნებულა სამშობლოში.

ამ ციფრებში ეჭვის შეტანა ძნელი არ უნდა იყოს. რადგან ნებისმიერმა ჩვენმა მოქალაქემ, ასაკის განურჩევლად იცის, რომ საქართველოდან წასვლის მსურველიც და რეალურად გამსვლელიც გაცილებით მეტია, ვიდრე ემიგრაციიდან დაბრუნებულები. ამ მონაცემებს უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისგანაც ვიგებთ.

ამაზე მეტყველებს აეროპორტში თითოეულ ავია-რეისზე წამსვლელთა რაოდენობაც, რომელთა შორის, ერთი თვალის გადავლებითაც მისახვედრია, რამდენი ადამიანი შეიძლება დაბრუნდეს უკან. ვარაუდს რომ არ ვენდოთ, ინფორმაცია სხვა წყაროებთანაც გადავამოწმე. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ ხელმძღვანელმა ზვიად ყუშიტაშვილმა რამდენჯერმე მოახერხა ამ კატეგორიის ადამიანების გამოკითხვა აეროპორტში, რომელთა შორის აშკარა უმრავლესობა (80-დან 50) ემიგრაციაში დარჩენას აპირებდა, ხოლო დაახლოებით 20 პროცენტი მაინც ხელმეორედ მიდიოდა ემიგრაციაში.

თანამედროვე ემიგრაციის საკითხებში ჩახედული ადამიანისათვის არც ისაა უცხო, რა აიძულებს ამ ხალხს დატოვონ სამშობლო, საკუთარი ოჯახები და უმძიმესი შრომისა, თუ ქუჩაში ცხოვრებისათვის გაიმეტონ თავი თუ მცირეწლოვანი შვილები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოდან წასულთა უმეტესობა აქ კრიმინალურ ცხოვრებას ეწეოდა და მხოლოდ იმიტომ მიდის საქართველოდან, რომ ამის საშუ-

ალება მოესპო, ან დაბალი ხელფასის გამო გადაწყვიტა საზღვარგარეთ გაიუმჯობესოს სიტუაცია, მას მთლად სწორი წარმოდგენა არა აქვს დღევანდელ ემიგრაციაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები ემიგრაციას პოლიტიკისაგან მიჯნავენ. მაგრამ ფაქტია, არიან ადამიანები, რომლებსაც ყოველგვარი სარჩო-საბადებელი მოესპოთ უმუშევრად დარჩენის გამო და ასეთთა რიცხვში, სამწუხაროდ, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში არაერთი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც სამსახური სწორედ მიტინგებზე დგომის გამო დაკარგა. უცხო ქვეყანაში ჩასული კი, რომელიც დიდხანს სამსახურს ვერ შოულობს და ოჯახის რჩენის მაგივრად, თავად ხდება დასახმარებელი, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, სხვადასხვა გზას ეძებს თავის გამოსაკვებად. საქართველოდან ხელმოკლეობისაგან თავის დასაღწევად, გარკვეული გასამრჯელოს გადახდის ფასად, ემიგრაციაში წასული ადამიანები, უკან ისევ უსახსროდ დაბრუნებას ვერ კადრულობენ. ასე გაჩნდნენ ემიგრაციაში ახალი კატეგორიის „მომპარავის“ სახელით ცნობილი ემიგრანტები. თუმცა, უკვე ეს ხელობაც ძალზე გაჭირდა, რადგან მაღაზიებში კონტროლი გამკაცრდა. ამიტომაც შეიქმნა პატარ-პატარა დაჯგუფებები, რომლებიც ბინების გაქურდვით ირჩენენ თავს. ევროპასაც მობეზრდა ამდენი დამნაშავე ხალხის შენახვა.

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დღეს ემიგრაციაში ყველა ერთი კატეგორიის ადამიანია. იგი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც სამშობლოში დარჩენილთა კატეგორიები. ძირითად ნაწილს კი მაინც თურქეთში, საბერძნეთსა და იტალიაში საშოვარზე წასული, მძიმე სამუშაოს შემსრულებელი მანდილოსნები წარმოადგენენ. ადრე კაცების სამუშაო უფრო მეტად ესპანეთში, ახალ ზელანდიაში და ირლანდიაში თუ მოიპოვებოდა. ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება შრომით მიგრანტ მამაკაცთა რიცხვი თურქეთშიც. ამ პროცესმა შვილებისა და მშობლების გაუცხოების, ასევე ახალგაზრდა ოჯახების დანგრევის შემთხვევები საკმაოდ გააჩხირა.

ის ახალგაზრდა და მოზარდი თაობის წარმომადგენლები კი, რომელიც მცირეწლოვნობისას წაიყვანეს მშობლებმა საქართველოდან ან ემიგრაციაში დაიბადნენ, ხშირად ენის დავიწყების საშიშროების წინაშე დგანან. სამწუხაროდ, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი ემიგრანტები არიან, არ არის ქართული საკვირაო სკოლა და ქართული მრევლის მუდმივი თავშესაყარი. თუმცა, ბოლო წლებში სულ უფ-

რო იზრდება დასავლეთ-ევროპის ქართული ეპარქია და ქართველი მოძღვრები გაცილებით ბევრ ქვეყანაში აღავლენენ წირვა-ლოცვას, ვიდრე თუნდაც ხუთი წლის წინ, რაც ჩვენი ემიგრანტების უდიდესი ნაწილისათვის დიდი სულიერი შვების მომგვრელია.

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაა ქართველ ემიგრანტთა არალეგალური მიგრაციის ახალი მარშრუტების თვალსაზრისით. ევროპისაკენ მიმავალი ჩვენი თანამემამულეები უსახსრობის გამო იძულებულნი ხდებიან იაფიანი გზით, ბელორუსიის გავლით მოხვდნენ პოლონეთში, რომ შემდგომ მათთვის სასურველ ქვეყნებამდე ჩააღწიონ. ხოლო ისრაელისაკენ მიმავალ ქართველებს რამდენიმე თვის განმავლობაში ადგილობრივი ბედუინების ტყვეობაშიც, გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება.

სავალალო და შემაშფოთებელი კი, ჩემი აზრით, არის ის ფაქტიც, რომ ამ იაფიანი გზით უკვე ახალგაზრდა ოჯახები, ბავშვებით ტოვებენ სამშობლოსა და დიდი წვალეების შემდეგ, უცხო ქვეყანაში სამოწყალოდ რჩებიან. მათ ზოგჯერ ქუჩაშიც კი უხდებათ ღამის გათენება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მიიპყრონ. ამის მაგალითები მე თავად ვნახე საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში.

დასამალი არ არის, რომ ბოლო დრომდე მძიმე რჩება ჩვენს ქვეყანაში აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მრავალი ოჯახის მდგომარეობა, რაც იმ მწარე რეალობის განმაპირობებელი დამატებითი ფაქტორია, რომ არამც თუ არ წყდება საქართველოს მოსახლეობის გადინება სამშობლოდან, არამედ იზრდება და მათ ადგილს საქართველოში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩამოსული უცხოელი იკავებს. განსაკუთრებით შეინიშნება საქართველოში ფერადკანიან მიგრანტთა მოჭარბება. მათი რიცხვი, სავარაუდოდ კიდევ გაიზრდება, რადგან ევროკავშირთან ვიზების გამარტივებისა და „რეადმისიაზე“ ხელმოწერის შემდეგ, საქართველო დამატებით ვალდებულებებს კისრულობს.

ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტის, ვასილ ჭყოიძის განმარტებით, რეადმისია თან დაერთო ევროკავშირთან გამარტივებულ სავიზო შეთანხმებას და გულისხმობს ვალდებულებებს, რომლებიც საქართველომ აიღო. კერძოდ - ხელშეკრულების მთავარი მისიაა, ევროკავშირის ტერიტორიაზე საქართველოდან შესული არალეგალების დაბრუნება და, შესაბამისად, საქართველო ვალდებულია, უზრუნველყოს ამ პირებისთვის დროებითი თავშესაფარი და სხვა ხარ-

ჯები, ვიდრე მოხდება მათი იდენტიფიკაცია. "ხელშეკრულება, ასევე, ითვალისწინებს მონაცემთა ერთიანი ბაზის მართავს, აღრიცხვას, თანამედროვე სტანდარტებით საზღვრების მართვას, ევროკავშირის მონაცემთა ბაზებში ჩვენი მონაცემთა ბაზების ინტეგრირებას, თუ ვინ დარეგისტრირდა, როგორც მიგრანტი ან ემიგრანტი და ამ ყველაფრის ერთობლივად, მაღალ დონეზე კონტროლს" (<http://www.interpressnews.ge/ge/politika/161172-ras-guliskhmobs-readmisiis-khelshekruleba.html>).

აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ქართველი ემიგრანტების უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტის შესახებ მოუწოდებით ინფორმაცია ჩვენს თანამემამულეებს, რაც ძირითადად, დოკუმენტაციის დაგვიანებით გაცემასა თუ საელჩოებსა და საკონსულოებში თანამშრომლების მხრიდან უტაქტო მოპყრობასა და უკმეხ საუბარში გამოიხატებოდა.

ქართველთა იდენტიფიკაციის ანუ ვინაობის დადგენის პროცედურის გაიოლებად აღიქვეს ჩვენმა თანამემამულე ემიგრანტებმა ახალი, ე.წ. „ჩიპიანი“ პასპორტების შემოღების ფაქტიც. რადგან ბევრი მათგანი, საბუთების გადამოწმებისა და მათი ვინაობის დადგენის გახანგრძლივებით დეპორტაციის პროცესსაც იხანგრძლივებდა, უფასოდ ღამის გასათევსა და მკურნალობასაც იღებდა და უფასოდ იკვებებოდა. ამიტომაც საკუთარ ვინაობას მალავდა. ახლა კი თითის ანაბეჭდებით ნებისმიერი მათგანის იდენტიფიცირება უსწრაფესად არის შესაძლებელი და დეპორტაციაც ასევე ოპერატიულად მოხდება, თუ ისინი არ აღმოჩნდებიან რეალურად სხვადასხვა ნიშნით დევნილობაში მყოფი პირები, ან მძიმე დაავადებით შეპყრობილები.

გაუთვიცნობიერებლად უცხოეთში წასულთა გარკვეული რაოდენობა ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებოდა. მიგრაციისა და ტრეფიკინგის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბატონ მარკ ჰულტის ინფორმაციით, დინამიკა ბოლო დროს უკეთესობისაკენ შეიცვალა, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ადამიანები უფრო მეტად ინფორმირებულები გახდნენ და უცხო პირებს ადვილად არ ანდობენ საკუთარ პასპორტს, თუ ბედს.

თუმცა, მიგრაციის სტატისტიკური მონაცემები არც ამ ორგანიზაციას გააჩნია. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნებში, პოლონეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიასა და გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში, თავშესაფრის მომთხოვნთა რიცხვი გაცილებით გაიზარდა. ამასთან, პოლონეთში თითქმის არ არის დაფიქსირებული ქარ-

თველი ემიგრანტებისათვის თავშესაფრის მიცემის ფაქტი. ამდენად, აქ მოხვედრილი ადამიანები, ვინც დეპორტაციას გადაურჩა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გადადიან. მარკ ჰულტის ინფორმაციით, ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე დადებითი პასუხი თითქმის 90-მა პროცენტმა ვერ მიიღო. სწორედ ამიტომ ხდებიან იძულებულნი ქართველი ემიგრანტები ბედი სხვადასხვა ქვეყანაში სცადონ.

შემაშფოთებელ სურათს გვიხატავს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძეც, რომლის ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტკატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ მონაცემებით, მარტო შვეიცარიაში, თავშესაფრის მომთხოვნთა რიცხვმა 2000 ქართველს გადააჭარბა. მათ ასევე დათვალეს რუსეთსა და საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტების ფულადი გზავნილების რაოდენობა, რომელიც მილიონობით დოლარსა და ევროს შეადგენს. მიგრანტთა რაოდენობა კი ბევრად აღემატება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს.

ქართველი ემიგრანტების უფლებების დაცვის მიზნით „სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა“ სახალხო ომბუცმენების რანგში იწყებს თანამშრომლობას უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, და მიმართავს დონორ ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, რომლებსაც ხელეწიფებათ თავისუფალი მედიის დაფინანსება, მხარი დაუჭირონ ამ წამომწყებას, რითაც ჩვენ გავხდებით ერთგვარი ხიდი, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და ჩვენი ქვეყნიდან გადახვეწილ ემიგრანტებს შორის. ვეცდებით, დავეხმაროთ მათ თავიანთი უფლებების დაცვაშიც და უკან დაბრუნების პროცესების გააზრებულად განხორციელებაშიც. „ზაქარია ქუცნაშვილის საადვოკატო ბიუროს“ დახმარებით, იურიდიულ კონსულტაციასთან ერთად, ჩვენ მზად ვართ საზოგადოებას განვუმარტოთ მათთვის საჭირბოროტო ნებისმიერი საკითხი და პროცედურების წარმატებაშიც დავეხმაროთ.

ამისათვის ჩვენ გაგვაჩნია რადიო და ინტერნეტ-ტელევიზიის პროექტი (საიტზე www.obieqtivi.net), სადაც კვირაში ერთხელ გადის ჩემი საავტორო გადაცემა „სხვა საქართველო აქ არი“, ასევე ინტერნეტ-გაზეთი „ობიექტივი“ და ახალი ამბების სააგენტო. რამდენიმე წელია სტუდია „მერიდიანთან“ ერთად ვმუშაობ დოკუმენტური ფილმის პროექტზე, რომელიც უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, მათ შთამომავლებს და ქართულ მრევლს შეეხება. ვფიქრობთ კარგ საქმეს ვეწევით და მოვუწოდებთ ჩვენს თანამემამულეებს, დაგ-

ვიკავშირდნენ მათი პრობლემის მოსაგვარებლად. ასევე იაქტიურონ გადაცემების მსვლელობისას, რათა პირდაპირ ეთერში გაახმაურონ, რატომ ტოვებენ სამშობლოს, როგორ პირობებში ხვდებიან და აპირებენ თუ არა სამშობლოში დაბრუნებას.

ახალ ემიგრაციასთან ერთად, ჩვენი პროექტი „ისტორიული პარალელების“ გაცნობასაც ახორციელებს, რაც ალბთ, არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ემიგრაციის მომავალი თაობისათვის. დღევანდელმა ემიგრანტებმა სასურველია იცოდნენ, ვინ იყვნენ მათი წინაპრები, რომლებიც იძულებით გადახვეწილები, დღენიადაგ სამშობლოს დამოუკიდებლობაზე და უკან დაბრუნებაზე ზრუნავდნენ. მაგრამ ბევრმა მათგანმა შინ დაბრუნება ვერ მოახერხა და სამუდამო სასუფეველადაც უცხო მიწა ერგო. თუმცა, კოკი დადიანის საფლავის ეპიტაფია „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“ ნათლად გამოხატავდა მათ დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, რაც თითოეული ქართველი ემიგრანტისათვის სამაგალითო და ნიშანდობლივაც უნდა გახდეს.

დიდი გულისტკივილითა და გულშემატკივრობით მინდა შევახსენო ჩემს თანამემამულეებს პატრიარქის მოწოდება სამშობლოში დაბრუნებისთვის. „მთავარია, თქვენი წინამორბედებივით, შინ დაბრუნების დრო არ გამოგპარვოდეთ!“

ქართული ეპარქიები უცხოეთში

1990-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დიდი ზიზგით მისცა მოსახლეობის საქართველოდან მასიურ გადინებას მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე, რამაც ასე ათასობით ქართველი მოწყვითა საკუთარ სამშობლოს, გახიზნულთა უმრავლესობა უცხოეთში ბედის ანაბარა აღმოჩნდა. საქართველოს ეკლესია შეშფოთებული იყო მათი სულიერი მდგომარეობით. ამიტომ გადაწყდა შექმნილიყო ეპარქია და ამოქმედებულიყო ტაძრები მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში.

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართულ წმიდა სინოდის სხდომას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოახენა: „უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში საცხოვრებლად გადავიდა საქართველოს ეკლესიის მრავალი წევრი. ისინი სისტემატურად მოგვმართავენ თხოვნით, რომ შეიქმნას ევროპის ქვეყნებში საქართველოს ეკლესიის ეპარქია და ამოქმედდეს ტაძრები ქართველებით დასახლებულ ადგილებში“.

წმიდა სინოდმა იმსჯელა დასმულ საკითხთან დაკავშირებით და განაჩინა: 2002 წლის 18 ოქტომბრიდან დაფუძნდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში დასავლეთ ევროპის ეპარქია. ეპარქიის იურისდიქცია გავრცელდეს შემდეგი ქვეყნების ტერიტორიაზე – ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, საფრანგეთი, შვეიცარია და ჰოლანდია. დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველად დაინიშნა მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია).

იმ დროისათვის დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მოქმედებდა სამი ქართული სამრევლო: მიუნხენში, სტრასბურგსა და ბრიუსელში და სამი სასულიერო პირი - დეკანოზი გ. მექოშვილი, მღვდელი მ. თავხელიძე და მღვდელი მ. ბურდული. 2010 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ქართული სამრევლოებისა და სასულიერო პირების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. ქვემოთ)

2009 წლის 30 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეპარქიას გამოეყო დიდი ბრიტანეთი და ირლანდია და შეიქმნა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია, იქ არსებული ქართული სამრევლოების მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული).

წმიდა სინოდის ამავე სხდომის გადაწყვეტილებით, შეიქმნა აგრეთვე: ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქია, მის მმართველად დაინიშნა მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი). სამხრეთ ამერიკის ეპარქიის მმართველად დაინიშნა მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), ავსტრალიის ეპარქიის მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი შიო (ბუჯირი).

დასავლეთ ევროპის ეპარქიის სამრევლოები

(2010 წლის მდგომარეობით)

ავსტრია

1. გრაცის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წელს.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი).
2. ვენის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის სამრევლო
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი)
სამრევლოს მისამართი: Brigittkapelle, Forsthausgasse 15, 1200 Vienna.
3. ლინცის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი (ლაზარე სამადბეგიშვილი).

ბელგია

1. ანტვერპენის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს.
მღვდელმსახური: ილუმენი აბიბოსი (ქურციძე).
სამრევლოს მისამართი: Markgravelei 117, 2018 Antwerp, Belgium.
2. ბრიუსელის წმიდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის მიერ 2001 წელს.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი დოსითე (ბოგვერაძე).
სამრევლოს მისამართი: Rue Gendebien 9, 1030 Brussels, Belgium.

გერმანია

1. ბერლინის წმიდა მღვდელმოწამე კირიონის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. წირვა ტარდება თვეში ერთხელ სერბეთის საპატრიარქოს ტაძარში.
წინამძღვარი: დეკანოზი თამაზ (ლომიძე).
სამრევლოს მისამართი: Holzmannstr. 34, 12099 Berlin, Germany.
2. ბილეფელდის ღირსი ექვთიმე ათონელის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება თვეში ერთხელ სერბულ ტაძარში.
წინამძღვარი: ილუმენი ისე (გელაშვილი).
სამრევლოს მისამართი: Wellensiek 69a, 33619 Bielefeld, Germany.
3. ბონის წმიდა ამბროსი აღმსარებელის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. წირვა ტარდება თვეში ერთხელ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სამების საკათედრო ტაძარში.
წინამძღვარი: ილუმენი ისე (გელაშვილი).
სამრევლოს მისამართი: Dietr-Bonheffer-Str. 2, 53227 Bonn, Germany.
4. ბრემენის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2009 წელს. მსახურება სრულდება თვეში ერთხელ სერბეთის საპატრიარქოს ტაძარში.

წინამძღვარი: ილუმენი ისე (გელაშვილი).

სამრევლოს მისამართი: Storchenweg 1, 28219 Bremen, Germany.

5. დიუსელდორფის წმიდა მღვდელმოწამე ანთიმოზ ივერიელის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2006 წელს.

წინამძღვარი: ილუმენი ისე (გელაშვილი)

სამრევლოს მისამართი: Fahrstrasse 95, 40221 Dusseldorf, Germany.

6. კარლსრუეს წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს. წირვა ტარდება თვეში რთხელ.

წინამძღვარი: დეკანოზი გიორგი მექოშვილი.

სამრევლოს მისამართი: Hirschstrasse 103, D 76137 Karlsruhe, Germany.

7. მიუნსტერის წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.

საკონტაქტო პირი: ილუმენი ისე (გელაშვილი)

8. მიუნხენის წმიდა ვახტანგ გორგასალის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის მიერ 2001 წელს.

წინამძღვარი: დეკანოზი თამაზ ლომიძე.

სამრევლოს მისამართი: Kristallstrasse 8, 80995 Munchen-Ludwigsfeld, Germany.

9. ნიურნბერგის წმ. გიორგის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.

საკონტაქტო პირი: დეკანოზი თამაზ ლომიძე.

10. რეგენსბურგის წმიდა გაბრიელის, იმერეთის ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.

წინამძღვარი: დეკანოზი თამაზ (ლომიძე).

11. შტუდგარტის წმიდა ილია მართლის სახელობის სამრევლო. დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება

სრულდება თვეში ერთხელ.

წინამძღვარი: დეკანოზი თამაზ (ლომიძე).

სამრევლოს მისამართი: Steigerwaldstrasse 10, 70469 Stuttgart, Germany.

12. ჰამბურგის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო.

დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.

წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი).

13. ჰანოვერის წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სამრევლო.

დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.

სამრევლოს საკონტაქტო პირი: ილუმენი ისე (გელაშვილი).

14. ფრანკფურტის წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო.

დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს. მსახურება სრულდება თვეში ერთხელ.

წინამძღვარი: დეკანოზი თამაზ (ლომიძე).

სამრევლოს მისამართი: Solmstrasse 3, 60486 Frankfurt/Main

დანია

1. კოპენჰაგენის წმიდა მოწამე გრიგოლის (ფერაძე) სახელობის სამრევლო.

დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. წირვა ტარდება მრევლის მოწვევით.

წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლაზარე (სამადბეგიშვილი).

ესპანეთი

1. ალიკანტეს წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო.

სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წელს. მსახურება ტარდება თვეში ერთხელ სერბეთის საპატრიარქოს ტაძარში.

წინამძღვარი: ილუმენი სერაპიონ (გრიგოლიშვილი).

2. არნედოს წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2007 წელს.
წინამძღვარი: ილუმენი პიროსი (გოცირიძე).
სამრევლოს მისამართი: venida del Cidocos 11, 26580 Arnedo, Espana.
3. ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2006 წელს.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლუკა (ფალავანდიშვილი).
სამრევლოს მისამართი: c/collserola,31 TDA-1. Barselona 08035.
4. ბურგოსის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წელს. მსახურება
სრულდება მრევლის მოწვევით.
წინამძღვარი: ილუმენი პიროსი (გოცირიძე).
5. ვიტორიას წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს.
წინამძღვარი: ილუმენი სერაპიონ (გრიგოლიშვილი).
სამრევლოს მისამართი: C. Reyes Catolicos № 22 bajo 11. Espana, Alava,
Vitoria.
6. მადრიდის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წელს. მსახურება
ტარდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტაძარში თვეში
ერთხელ.
წინამძღვარი: ილუმენი პიროსი (გოცირიძე).

იტალია

1. ბარის წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2007 წელს.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი მოსე (ჭანკვეტაძე).
2. რომის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. წირვა

სრულდება რომის სხვადასხვა ტაძრებში.

წინამძღვარი: მღვდელ-მონოზონი იოანე (ხელაია).

3. ფაბრიკა დე რომას წმიდა მირიან და ნანას სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2010 წელს. მსახურება
სრულდება თვეში ერთხელ.

წინამძღვარი: მღვდელ-მონოზონი იოანე (ხელაია).

საფრანგეთი

1. კონის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს.
მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.
2. ლიმოსის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2009 წელს. მსახურება
ტარდება რუმინეთის საკატრიარქოს მამათა მონასტერში მრევლის
მოწვევით.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლუკა (ფალავანდიშვილი).
სამრევლოს მისამართი: Monastere orthodoxe de cantauque 11250,
Villebazi Sent Martan.
3. პარიზის წმიდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი.
სამრევლო დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს.
ეს არის პირველი ქართული ტაძარი, რომელიც აშენდა დასავლეთ
ევროპაში. ტაძრის აღმშენებელია ბატონი ელგუჯა ქებურია. ტაძარი
2009 წლის 14 მაისს თამარობის დღესასწაულზე აკურთხა დასავლეთ
ევროპის ეპარქიის მმართველმა მიტროპოლიტმა აბრაამმა ეპარქიის
სამღვდელოებასთან ერთად. ახალ ტაძარში პირველი საღმრთო წირვა
14 მაისს აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ
საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან და
სამღვდელოებასთან ერთად.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანტონი (კანდელაკი).
ტაძრის მისამართი: 6 Impasse Boieldieu, 94190 Villeneuve-Saint-George,
France.

4. რენეს წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2009 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.
5. რუანის წმიდა გიორგის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს. მსახურება სრულდება თვეში ერთხელ.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანტონ (კანდელაკი).
სამრევლოს მისამართი: Route de la riviere Bourdet, 76113. France.
6. სტრასბურგის წმიდა ქეთევან წამებულის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით 1994 წელს.
წინამძღვარი: დეკანოზი გიორგი (მექოშვილი).
სამრევლოს მისამართი: 3, rue Boston, 67000 Strasbourg, France.
7. სტრასბურგის წმიდა ილია მართლის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2007 წელს.
საკონტაქტო პირი: არქიმანდრიტი ანტონ (კანდელაკი).
8. ტულუზის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2009 წელს. წირვა ტარდება სერბეთის საპატრიარქოს ტაძარში თვეში ერთხელ.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი ლუკა (ფალავანდიშვილი).
სამრევლოს მისამართი: Avenue Lavaur, Touiouse, Sent Laurant.

შვეიცარია

1. ჟენევის წმიდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2008 წელს. წირვა ტარდება თვეში ერთხელ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შამბეზის ტაძრის კრიპტაში.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი დოსითე (ბოგვერაძე).
სამრევლოს მისამართი: 37, Chemin de Chambesy, CH-1292 Chambesy, Switzerland.

ჰოლანდია

1. როტერდამის წმიდა ნიკოლოზის სახელობის სამრევლო.
დაფუძნებულია მიტროპოლიტ აბრაამის მიერ 2004 წელს. მსახურება სრულდება მრევლის მოწვევით.
წინამძღვარი: არქიმანდრიტი დოსითე (ზოგვერაძე).

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია

1. ბირმინგემის სამრევლო.
2. გლაზგოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლო.
3. ლონდონის წმინდა გიორგის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: ილუმენი დოროთე (ბარბაქაძე).
4. საუტჰემპტონის სამრევლო.

ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქიის სამრევლოები:

ამერიკის შეერთებული შტატები

1. ვაშინგტონის (აშშ) წმიდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: დეკანოზი პეტრე (ყრუაშვილი).
2. ლას ვეგასის წმინდა დავით გარეჯელის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მრვდელ –მონაზონი იოანე (კავსაძე).
3. ლოს-ანჯელესის წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მღვდელ-მონაზონი იოანე (კავსაძე).
4. ნიუ-იორკის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მამა ალექსანდრე (თანდილაშვილი).
5. პენსილვანიის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის მონასტერი.
წინამძღვარი: ილუმენი საბა (ინწკირველი).

6. სან-ფრანცისკოს ივერიის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მღვდელ-მონაზონი იოანე (კავსაძე).
7. სან ხოსეს წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მღვდელ – მონაზონი იოანე (კავსაძე).
8. სან დიეგოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მღვდელ – მონაზონი იოანე (კავსაძე).
9. სოლთ ლეიქ სითის წმინდა მარიამ მეგვიპტელის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: მღვდელ – მონაზონი იოანე (კავსაძე).
10. ფილადელფიის წმინდა გიორგის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: დეკანოზი პეტრე (ყრუაშვილი).
11. ჩიკაგოს წმინდა კეთილმსახურ მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: დეკანოზი მატათა (გორჩილავა).

კანადა

1. ტორონტოს ივერიის ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო.
წინამძღვარი: დეკანოზი პავლე (ზაქარაია).

სამხრეთ ამერიკის ეპარქიის სამრევლოები:

ეპარქიაში ჯერჯერობით ქართული სამრევლო არ არის.

ავსტრალიის ეპარქიის სამრევლოები:

ეპარქიაში ჯერჯერობით ქართული სამრევლო არ არის

გამოყენებული ლიტერატურა:

[http://www. Weudiocese.ge ?/indexs.php?options=com](http://www.Weudiocese.ge/?/indexs.php?options=com)

http://www. Patriarchate.ge/?action=dasavlet_evropis_eparqia

<http://www. Eklesia.us>

მასალა მოამზადა ტრისტან მაჭარაშვილმა.

კრებული ავტორები

- მანანა დარჩაშვილი – ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.
- პაატა ნაცვლიშვილი – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.
- რუსუდან ნიშნიანიძე – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- რუსუდან დაუშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის დირექტორი.
- მირანდა ტყემელაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
- ნინო ცხოიძე – სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენი ემიგრაციის საკითხებში, ჟურნალისტი.
- ტრისტან მაჭარაშვილი – ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.